ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულება

თათია ცაბოლაშვილი

ბავშვთა საკითხების გაშუქება სატელევიზიო და ონლაინ მედიაში - შედარებითი ანალიზი

ნაშრომი შესრულებულია სოციალურ მეცნიერებათა ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი : **ხათუნა კაჭარავა**

ასოცირებული პროფესორი

თბილისი

2023

სარჩევი

ანოტაცია 2

შესავალი 3

კვლევის მეთოდოლოგია..... 6

კვლევის დიზაინი..... 8

თავი I..... 10

ლიტერატურის მიმოხილვა 10

თავი II - კვლევის შედეგები..... 14

2.1 რაოდენობრივი კონტენტ - ანალიზი 14

2.1.2 ტელეკომპანია „იმედი“ – „იმედის დღე“ 14

2.1.3 „სპუტნიკ-საქართველო“..... 22

2.2 თვისებრივი კონტენტ-ანალიზი..... 30

2.2.1 „იმედის დღე“..... 30

2.2.2 „სპუტნიკ-საქართველო“..... 35

2.2.3შედარებითი ანალიზი 41

2.3სიღრმისეული ინტერვიუ..... 42

დასკვნა..... 44

გამოყენებული ლიტერატურა..... 46

დანართი 1..... 48

დანართი 2..... 50

დანართი 3..... 52

ანოტაცია

ნაშრომი მიზნად ისახავს, გამოიკვლიოს, რამდენად ხშირად აშუქებს ქართული მედია ბავშვთა საკითხებს. ასევე, გამოქვეყნებულ მასალაში შეინიშნება თუ არა ჟურნალისტური ეთიკის ნორმების დარღვევები. ნაშრომის მიზანია, რომ დავადგინოთ,არასრულწლოვანთა საკითხებს,რომელი მედიასაშუალება აშუქებს უკეთესად და იცავს თუ არა სამართლის ყველა ნორმას.

საკვლევად შევარჩიეთ ტელეკომპანია „იმედის“ გადაცემა „იმედის დღე“ და ონლაინ მედია „სპუტნიკ-საქართველო“ . 2020 წელს IRI-ს (საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტი) კვლევის მიხედვით, ტელეკომპანია „იმედმა“ საზოგადოების მხრიდან, დიდი ნდობა დაიმსახურა და საქართველოს არხებს შორის პირველი ადგილიც დაიკავა.ხოლო, „სპუტნიკი“ , ფაქტობრივად, რუსული პროპაგანდის ერთ-ერთი მთავარი ინსტრუმენტია, რომელსაც სჩვევია მკითხველთათვის რუსეთის დადებით ჭრილში წარმოდგენა. სწორედ ამ მიზეზების გამო, გადავწყვიტეთ მათზე დაკვირვება.

საკვლევი პერიოდია 2020 წლის 1 იანვრიდან 2020 წლის 29 თებერვლის ჩათვლით, იმ მიზეზით, რომ ამ პერიოდში გამოჩნდა კორონავირუსი. 30 იანვარს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ ვირუსი გლობალურ საფრთხედაც გამოაცხადა. ამიტომ, ისიც საინტერესო იყო,თუ როგორ მუშაობდნენ მედიები ამ მოვლენის პარალელურად. კვლევებმა კი აჩვენა, რომ კოვიდს „იმედის დღისა“ და „სპუტნიკ-საქართველოსათვის“ ხელი არ შეუშლია და ისინი ჩვეულ რეჟიმში განაგრძობდნენ ბავშვთა საკითხების გაშუქებას. ნაშრომისთვის შევარჩეთ 29 მასალა, რომელშიც ნათლად შეინიშნებოდა გარკვეული ეთიკის ნორმების დარღვევის ფაქტები.

შესავალი

ბავშვთა საკითხების გაშუქება ძალიან დიდ დაკვირვებასა და ყურადღებას მოითხოვს. ერთი შეხედვით, ასაკიდან გამომდინარე, ჟურნალისტების ნაწილს ამ თემის წარმოჩენა უფრო უადვილდება, ვიდრე ზრდასრულების. თუმცა ისინი ვერ იაზრებენ, რომ მეტ-ნაკლებად ბავშვთა უფლებების დამცველების როლში თავადვე უნდა გვევლინებოდნენ. მიუხედავად ამისა, რეიტინგის ასამაღლებლად 21-ე საუკუნეში მედიებს შორის მკვეთრი დაპირისპირებაა. პარადოქსია,მაგრამ ცნობილი ადამიანის ცხოვრება საზოგადოების დიდ ნაწილში სენსაციას მეტად იწვევს, ვიდრე ბავშვი,რომელიც თუნდაც ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი გახდა.

ინტერესიდან გამომდინარე, ხანდახან ჟურნალისტები არ ითვალისწინებენ ბავშვის ასაკს.ისინი ინფორმაციის მოსაპოვებლად ყველა ხერხს მიმართავენ,მათ შორის, მანიპულაციასაც. მიუხედავად იმისა,რომ რესპონდენტს უფლება აქვს დასმულ შეკითხვას თავი აარიდოს, არასრულწლოვნებს ჰგონიათ,რომ ვალდებული არიან,კორესპონდენტის ყველა შეკითხვაზე უპასუხონ,როდესაც შესაძლოა,ამის სურვილი არც კი გააჩნდეთ.

მოზარდი, შეიძლება გარკვეულ ინფორმაციას არ ფლობდეს კონკრეტულ საკითხზე,რაც ასაკიდან გამომდინარე,ბუნებრივია. ამიტომ ჟურნალისტი ვალდებულია, სიფრთხილე გამოიჩინოს მისი კომენტარის გაშუქებისას ,რადგან ბავშვმა შეიძლება ვერ გაიაზროს თუ რა შეიძლება გამოიწვიოს მისმა სიტყვა-პასუხმა. ჟურნალისტის პასუხისმგებლობა კი მოითხოვს,რომ ის არ დააზიანოს.[1]

მოზარდი, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც გარდატეხის პერიოდშია, მასში დიდი ცვლილებები მიმდინარეობს. სწორედ ამ პერიოდში ხდება მისი

[1] მედია სივრცეში პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის სახელმძღვანელო პრინციპები (ევროსაბჭოს და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სტანდარტების კრებული)

ცნობიერების ამაღლება, სამყაროს მიმართ ხშირად აქვს პროტესტი, მიუღებლობა, უამრავი პასუხგაუცემელი კითხვა, ამ დროს სტრესის დონეც იმატებს. ხშირად, ბავშვის შესახებ ერთი „უწყინარი“ ინფორმაციის გაშუქებაც კი შესაძლოა, სავალალო შედეგის მომტანი გახდეს, რადგან არსებობს ალბათობა,რომ მომავალში ამ ფაქტზე მან პროტესტი ან უკმაყოფილება გამოხატოს. მოზარდების უმრავლესობისთვის სიხარულის მომტანია ისიც, რომ შეიძლება ტელევიზორში გამოჩნდეს. პატარებისთვის ეს ფაქტი სიამაყის გრძნობასთანაც ასოცირდება. თუმცა ჟურნალისტთა ნაწილი ამ ფაქტითაც სარგებლობს და მცირეწლოვნებს სხვადასხვა გამოკითხვაში რთავს. ამ შემთხვევის გამო, მოზარდების ნაწილი ბულინგის მსხვერპლიც გამხდარა. ჟურნალისტებმა უნდა გაიაზრონ, რომ ბავშვებს ძალიან ფაქიზი ფსიქიკა აქვთ და შეიძლება იმდენს ვერ გაუძლონ, რამდენსაც ზრდასრულმა, ჩამოყალიბებულმა ადამიანებმა.

ბევრისთვის პოპულარობა დამღუპველია, რადგან , ფაქტობრივად, მედიის წარმომადგენლები მათ პირად ცხოვრებაში ხშირად ერევიან. განსაკუთრებით ეს ფაქტი მოქმედებს ცნობილი ადამიანების შვილებზე, რადგან ისინი საზოგადოების მხრიდან, მუდამ ყურადღების ცენტრში არიან, მეტიც, როდესაც ჟურნალისტებს ინფორმაციის ნაკლებობა აქვთ, ცნობილი ადამიანების შვილების შესახებ იწყებენ ინფორმაციის მომზადებასა თუ გამოქვეყნებას.ამიტომაც, ხშირად აფიშირებენ ბავშვების სურათებს, საცხოვრებელ მისამართს, სკოლას და ა.შ... 18 წლამდე ასაკის ადამიანის იდენტიფიკაცირება არც ძალადობის ნებისმიერი ფორმის შემთხვევაში არ უნდა მოხდეს. ჟურნალისტმა უპირატესობა ბავშვის ინტერესს უნდა მიანიჭოს, შესაბამისად, არაფერი არ გამოაქვეყნოს ისეთი, რაც მისთვის საზიანო იქნება. [2]

ჩვენ ციფრულ სამყაროში ვცხოვრობთ, შესაბამისად, ინფორმაციის გავრცელება მსოფლიოს ნებისმიერი წერტილიდანაა ხელმისაწვდომი, რაც ძველ დროში წარმოუდგენელი იყო. ერთი მხრივ, ყოველივე ეს საშიშია, რადგან ჟურნალისტები პირველობისა და ექსკლუზიური ფაქტების გამო, იმ გარემოებებს ნაკლებად

[2]

ს
ა
ქ
ა
რ

ითვალისწინებენ,რომლებმაც შესაძლოა, ბავშვს სამომავლოდ საფრთხეც კი შეუქმნას.განსაკუთრებით საშიშია სოციალური ქსელი, სადაც ინფორმაცია არასრულწლოვანთა შესახებ, ყოველწამიერად ვრცელდება, რასაკვირველია, მათი ნაწილი სიცრუეს და გადაუმოწმებელ ფაქტებსაც შეესაბამება.ამას ემატება ისიც,რომ მედიაში,განსაკუთრებით სოციალურ სივრცეში, ბავშვის შესახებ ინფორმაციის მოპოვება მეტად გამარტივებულია.ფაქტობრივად, ჩვენი კვლევის ერთ-ერთი მიზანიც სწორედ ეს გახლავთ, რომ ცხადად დავინახოთ, ონლაინისა და ტელემედიის დამოკიდებულება 18 წლამდე ასაკის პირების მიმართ.

კვლევის მეთოდოლოგია

კვლევა განსაზღვრავს თუ როგორ შუქდება ბავშვთა საკითხები როგორც ონლაინ, ისე ტელემედიაში.ამავდროულად, არღვევენ თუ არა ჟურნალისტები არასრულწლოვანთა უფლებებს და მათ შესახებ, უმეტესწილად რა სახის ინფორმაციას ავრცელებენ. ასევე, საინტერესო იყო ისიც,ხელი შეუშალა თუ არა კორონავირუსმა ბავშვების შესახებ ინფორმაციის გაშუქებას. აქედან გამომდინარე, გამოვიყენეთ თვისებრივი და რაოდენობრივი კონტენტ-ანალიზი, ასევე სიღრმისეული ინტერვიუ.

სხვადასხვა კვლევის ჩატარების დროს, კონტენტ-ანალიზს ხშირად გამოიყენებენ.მოცემული საკვლევი ტექნიკის შესახებ, მედიისა და კომუნიკაციის კვლევის მეთოდების სახელმძღვანელოშიც ვხვდებით. „მეთოდის პოპულარობა აიხსნება იმით, რომ მისი მეშვეობით მიღებული შედეგები ვალიდური მყარი/სანდო) და ეფექტურია კომუნიკაციის პროდუქტების შინაარსის კვლევისთვის“ (მაია ტორაძე; ხათუნა მაისაშვილი, 2019) . მიუხედავად იმისა,რომ ამ მეთოდის ბევრი განმარტება არსებობს, კერლინგერმა ჯერ კიდევ 2000 წელს განმარტა: „კონტენტ-ანალიზი არის კომუნიკაციის სისტემატიზებულად, ობიექტურად და რაოდენობრივად შესწავლისა და ანალიზის მეთოდი ცვლადების გაზომვის მიზნით“ .

რაოდენობრივი კონტენტ-ანალიზის საშუალებით, დავთვალეთ თუ რამდენჯერ გააშუქეს მედიასაშუალებებმა ბავშვთა საკითხები,ამასთანავე,გამოვყავით სიტყვები,რომლებსაც ისინი ყველაზე ხშირად იყენებდნენ და მოვამზადეთ კოდირების სახელმძღვანელო ანკეტა.ხოლო,მასალის სიზუსტეში დასარწმუნებლად, ჟურნალისტების მიერ გამოყენებული წყაროები ერთ ჯგუფად მოვაქციეთ. ასევე, აღვრიცხეთ ძირითადად რა ტიპის ინფორმაციებზე იყო ყურადღება მეტად გამახვილებული.

თვისებრივი კვლევა დაგვეხმარა აღმოგვეჩინა ის ეთიკური დარღვევები, რომლებსაც ვხვდებოდით ჟურნალისტების მხრიდან არასრულწლოვანთა თემების გაშუქების დროს, რამაც საშუალება მოგვცა, სიღრმისეულად შეგვესწავლა საკითხი და,შესაბამისად,გაგვეანალიზებინა შერჩეული მასალა.

კვლევისას, ექსპერტთა აზრიც საინტერესო იქნებოდა,რათა დაგვენახა თუ რა ინფორმაციას ფლობდნენ ისინი ამ საკითხთან დაკავშირებით და რა რეკომენდაციების გაწევა შეეძლოთ მათ. ამიტომაც გადავწყვიტეთ სიღრმისეული ინტერვიუს საშუალებით გამოგვეკითხა შემდეგი ასოცირებული პროფესორები: მაია ტორაძე; ნინო ჭალაგანიძე და პედაგოგი ანა ბაბუნაშვილი. ფაქტობრივად, სამივე მათგანს ჩვენს კვლევასთან მიახლოებული პასუხები ჰქონდა და ,ამასთანავე,სწორი მიდგომაც.

მიმაჩნია, რომ ჩვენ მიერ არჩეულ თემას, ყველაზე კარგად ზემოხსენებული მეთოდები მიესადაგება, რომლებიც, ფაქტობრივად, გვეხმარება საკითხის უკეთ განხილვასა და გაანალიზებაში.

კვლევის დიზაინი

აღნიშნული კვლევისთვის შევარჩიეთ ორი მედიასაშუალება: ტელეკომპანია „იმედის“ სოციალურ-კულტურული გადაცემა „იმედის დღე“ და ახალი ამბების სააგენტო „სპუტნიკ-საქართველო“ . მიზეზი თუ რატომ ავირჩიეთ ეს გადაცემა, პირველ შემთხვევაში არის ის, რომ 2020 წელს ტელეკომპანია „იმედი“ ყველაზე დიდი რეიტინგით სარგებლობდა და , შესაბამისად,ბავშვთა თემების გაშუქებისას, ჟურნალისტებს მეტი პროფესიონალური უნარ-ჩვევა უნდა გამოემჟღავნებინათ, ხოლო „სპუტნიკ-საქართველო“ ცნობილია, როგორც რუსული ინფორმაციების დადებითი კუთხის წარმოჩენით, შესაბამისად, ის რუსულ პროპაგანდას ეწევა და ცდილობს, მკითხველს თავს მოახვიოს ის აზრი, რომ რუსეთი საქართველოს „მეგობარია“ , რაც ჩვენთვის, ქართველი ხალხისთვის, წარმოუდგენელი და მიუღებელია.“სპუტნიკის“ კორესპოდენდენტმა, ნიკიტა ალიენტივმა, წლების წინ მსგავსი შინაარსის განცხადება გააკეთა, რომ 21-ე საუკუნეში ბავშვები ბევრად „გათამამებული“ არიან და ძველ დროში, მშობელი საკვების მიუღებლობის გამო,შვილს მკაცრად დასჯიდა, ახლა კი მას ეუბნებიან „ყველასაგან განსხვავებული, განუმეორებელი ხარო და გაცილებით მეტ თავისუფლებას უტოვებენ საკვების შერჩევისას. რა არის შედეგი?“. ფაქტობრივად, ამ ერთ წინადადებაში ნიკიტას უხეში დამოკიდებულება იკითხება ბავშვთა მიმართ. მიტომ, საინტერესო იყო თუ „სპუტნიკ-საქართველო“ , როგორ აშუქებდა ბავშვთა საკითხებს.

საკვლევი პერიოდია 2020 წლის 1 იანვრიდან 29 თებერვლის ჩათვლით. ეს თარიღი იმიტომ შევარჩიეთ, რომ ამ პერიოდში მსოფლიო პანიკამ მოიცვა,რადგან გამოჩნდა კორონავირუსი. შესაბამისად, კვლევის ერთ-ერთ მიზანს ისიც წარმოადგენდა, რომ გაგვერკვია, ამ მოვლენის პარალელურად,ჩვენ მიერ არჩეული მედიები არასრულწლოვანთა საკითხებს როგორ აშუქებდნენ.

კვლევის პერიოდში გამოიკვეთა საკვლევი კითხვებიც,რომლებიც უფრო ამარტივებდა დაკვირვების პროცესს. ესენია:

1. რამდენად ხშირად აშუქებდნენ „იმედის დღე“ და „სპუტნიკ-საქართველო“ ბავშვთა საკითხებს?
2. ძირითათად, რა სახის ინფორმაცია ვრცელდებოდა არასრულწლოვნების შესახებ?
3. რა წყაროებზე დაყრდნობით,ავრცელებდნენ მედიასაშუალებები ინფორმაციას?
4. როგორი დამოკიდებულება გამოიკვეთა ჟურნალისტების მხრიდან ბავშვების მიმართ?
5. შეინიშნებოდა თუ არა მედიის მხრიდან, ბავშვთა ეთიკის ნორმების დარღვევები ?
6. რომელი მედიასაშუალება აშუქებდა ბავშვთა საკითხებს უკეთესად?

შემუშავდა საკვლევი ჰიპოთეზა :

1. ჩვენ მიერ არჩეული მედიასაშუალებები ბავშვთა საკითხების გაშუქების დროს, გარკვეულ შეცდომებს უშვებდნენ .
2. „იმედის დღე“ მეტად ხარისხიანად აშუქებდა ბავშვთა საკითხებს, ვიდრე „სპუტნიკ-საქართველო“ .

თავი I

ლიტერატურის მიმოხილვა

ბავშვთა საკითხები საკმაოდ აქტუალური თემაა, რომლის შესახებ არაერთი სამეცნიერო ნაკვლევი შექმნილა. რა თქმა უნდა, არასრულწლოვანთა მიმართ მედიის მხრიდანაც დიდი ინტერესია, ფაქტობრივად, მისი წყალობით ვეცნობით სხვადასხვა ინფორმაციას მათ შესახებ. სამწუხაროდ, მედიაში მუდამ ვაწყდებით მცდარ თუ არარელევანტურ ამბებს, თუმცა, როდესაც საკითხი ჩვენს პატარა მეგობრებს ეხება, მედიის წარმომადგენლები დიდი სიფრთხილითა და პასუხისმგებლობით უნდა მოეკიდონ აღნიშნულ საკითხს. ამიტომ კვლევაზე მუშაობისას, მოვიძიეთ ის სამეცნიერო საშრომები და წყაროები, რომლებიც უშუალოდ ასახავდა მედიისა და ბავშვების ურთიერთობას.

„ბავშვის უფლებათა კონვენციის“ პირველი მუხლის მიხედვით, ნებისმიერი ადამიანი, სანამ 18 წელს მიაღწევს, ბავშვად ითვლება. შესაბამისად, ამ პერიოდში მოზარდები ჩამოყალიბების პროცესში არიან, ავითარებენ ახალ უნარ-ჩვევებს და ისახავენ სამომავლო მიზნებსა თუ ცხოვრებისეულ გეგმებს. მედიაში ბავშვებს ერთ-ერთი წამყვანი პოზიცია უკავიათ, თუმცა ხშირად ხდება, როდესაც ნებსით თუ უნებლიედ,ჟურნალისტები მათთან მიმართებაში გარკვეულ შეცდომებსაც უშვებენ. ზოგიერთი მათგანი ინფორმაციის მოსაპოვებლად მათ ასაკსაც კი არ ითვალისწინებს, როდესაც არასრულწლოვანთა საკითხების გაშუქება მთელ რიგ პასუხისმგებლობას მოითხოვს. როგორც „მაუწყებელთა ქცევის კოდექსის“ მე-11 თავში ვკითხულობთ, რომელიც,კერძოდ, არასრულწლოვანთა დაცვას ეხება, „მაუწყებელი ვალდებულია უზრუნველყოს არასრულწლოვნების დაცვა მავნე ზეგავლენისგან“ (საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია, 2009) . ასევე, ამ თავში საუბარია იმაზეც, თუ არსებობს ალბათობა იმისა,რომ მასალამ

შეიძლება უარყოფითი გავლენა იქონიოს არასრულწლოვნის ფსიქიკასა ან ფსიქოლოგიაზე, ასეთი პროგრამა აუცილებლად უნდა აიკრძალოს . [3]

„არც ერთი ბავშვი არ შეიძლება იყოს მისი პირადი ცხოვრების, ოჯახური ცხოვრების, საცხოვრებლის ხელშეუხებლობის ან კორესპონდენციის საიდუმლოების უფლების განხორციელებაში ნებისმიერი ან უკანონო ჩარევის ან მისი ღირსებისა და რეპუტაციის შელახვის ობიექტი“ ("კონვენცია ბავშვის უფლებების შესახებ" მუხლი 16.) ასაკისა და გამოუცდელობის გამო, მასმედია ხშირად მანიპულირებს ბავშვზე, განსაკუთრებით ონლაინ მედიაში, რადგან სოციალურ ქსელებში ნაკლებად კონტროლდება გავრცელებული ინფორმაცია, ვიდრე ტელევიზიაში.

„მასმედია ხშირად ხატავს ბავშვებს, როგორც პასიურ მხვერპლებს ან მშვენიერ უმანკო არსებებს. მასმედია შეახსენებს საზოგადოებას, რომ ბავშვები და მოზარდები იმსახურებენ მათ მიმართ პატივისცემას“ ("MediaWise", 2010) . გაეროს ბავშვთა უფლებათა კონვენციის 10 წლისათვის, იუნისეფმა 1999 წელს გამოუშვა ბროშურა, რომლის ინიციატორიც გახლდათ მაიკ ჯემპსონი. მას დიდი წვლილი მიუძღვის ამ სახელმძღვანელოსთვის, რადგან მასში დეტალურად არის აღწერილი თუ რა გავლენა აქვს მედიას ბავშვთა საკითხების გაშუქებაზე. ასევე, როგორ მოქმედებს ყოველივე ეს მათ ფსიქიკაზე. ბროშურაში მოცემულია ის რეკომენდაციები, რომლებიც აუცილებელია, რომ გაითვალისწინონ ჟურნალისტებმა, რომლებიც არასრულწლოვნების გაშუქებაზე მუშაობენ.

ორგანიზაციამ „გადავარჩინოთ ბავშვები“ , 1998 წელს გამოაქვეყნა ნაშრომი „ბავშვებისაგან ინტერვიუს აღება“ , რომლის ავტორებიც გახლავთ სარა მაკრამი და ლოტ ჰიუ. თუმცა ეს ინფორმაცია არა მხოლოდ ჟურნალისტებისთვის, არამედ ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვისაა შექმნილი, რადგან მისი შინაარსიდან გამომდინარე, ფაქტობრივად, გამოკვეთილია ის ასპექტებიც, რომლებიც არასრულწლოვნების ფსიქოლოგიას ეხება. „ჟურნალისტების გაკრიტიკება იოლი საქმეა, სირთულეების დაძლევად პრაქტიკული გზის პოვნა

[3] „მაუწყებელთა ქცევის კოდექსი“. მუხლი 38 .

და ამ გამოცდილების სხვისთვის გაზიარება კი - ძნელი“ ("ბავშვისაგან ინტერვიუს აღება", 1998) . ეს ბროშურა დანარჩენებისგან შედარებით იმით განსხვავდება, რომ ჟურნალისტები წარმოდგენილნი არიან, არა როგორც კრიტიკის საგანი, არამედ ინდივიდები, რომლებმაც შეცდომები უნდა გამოასწორონ და თავიდან აირიდონ ყველა ის შესაძლო ხარვეზი, რომელსაც ბავშვთა საკითხების გაშუქებისას აწყდებიან. ასევე, ავტორები მედიის წარმომადგენლებს ურჩევენ, რომ საკუთარი თავი წარმოიდგინონ მცირეწლოვნების ადგილას, გაიხსენონ წარსული და ბავშვობა, ეს ყოველივე მათ დაეხმარებათ, რომ არასრულწლოვანთა საკითხებს მეტად ემპათიურად და პასუხისმგებლობით მოეკიდონ.

2013 წლიდან საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია გაეროს ბავშვთა ფონდის დახმარებით, ცდილობს,რომ მედიაში არასრულწლოვანთა საკითხების გაშუქება უკეთესობისკენ წარმართოს და , შესაბამისად, ამ კუთხით ნაკლები პრობლემები გვქონდეს. ბავშვთა საკითხების გაშუქების მედიამონიტორინგმა 2017 წლის 1 აპრილი - 1 დეკემბრის ანგარიში მოამზადა, რომლის მიხედვით, სხვა წლებთან შედარებით, არასრულწლოვნების საკითხების გაშუქება უფრო გაიზარდა, ვიდრე წინა წლებში. მიუხედავად ამისა, მრავლად შეინიშნებოდა ზედაპირული საკითხი , ასევე სხვადასხვა სტერეოტიპი მოზარდების მიმართ. თუმცა ონლაინ მედიისგან განსხვავებით, ამ პერიოდში ტელემედია მეტად დაკვირვებითა და სიფრთხილით გამოირჩეოდა. ამავდროულად, გასულ წლებთან შედარებით, მედია იმ კუთხით გაუმჯობესდა, რომ არ ხდებოდა არასრულწლოვნის იდენტიფიცირება, როდესაც ის გვევლინებოდა მსხვერპლის ან ბრალდებულის როლში,თუმცა მედიამონიტორინგის კვლევის მიხედვით, მაშინაც ფარავდნენ ბავშვს,როდესაც ამის აუცილებლობა არ იყო.

ბავშვთა საკითხების გაშუქების სახელმძღვანელო წესების მიხედვით, თავიდან უნდა ავირიდოთ ისეთი მასალა, რომელიც ბავშვისთვის საზიანო იქნება. მათი უფლებების დარღვევის შემთხვევაში, აუცილებლად გავამახვილოთ მათზე ყურადღება.ხანდახან, პატარებს აღიქვამენ „არასერიოზულ არსებებად“ , ამიტომაც დაუშვებელია მათი ამ კუთხით წარმოჩენა. მხოლოდ იმიტომ, რომ

ინფორმაცია მივიღოთ, მოვერიდოთ მოზარდების სენსაციურ ჭრილში გაშუქებას. სოციალურ ქსელში, როდესაც ბავშვთა სურათებს ან ინფორმაციას შევხვდებით, აუცილებელია მისი გადამოწმება, რადგან , ხშირად ვხვდებით ყალბ ინფორმაციებს. ინტერვიუს დროს კი არ უნდა მოხდეს მოზარდის დისკრიმინაცია, ასევე მათ უნდა მიეცეთ საკუთარი აზრისა და პოზიციის გამოხატვის საშუალება. არ უნდა „გამოვიყენოთ“ არასრულწლოვანი მხოლოდ ეთერის გასალამაზებლად ან შესაბამისი განწყობის შესაქმნელად.

ჟურნალისტის მოვალეობაა, რომ საზოგადოებას ოპერატიული და ზუსტი ინფორმაცია მიაწოდოს. ქარტია, რომელიც უშუალოდ ეფუძნება „ევროპის საბჭოს „ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა ევროპული კონვენციის“ მე-10 მუხლსა და „ჟურნალისტების საერთაშორისო ფედერაციის“ მიერ აღიარებულ „ჟურნალისტების ქცევის პრინციპების დეკლარაციას“, მოიცავს 11 პრინციპს. მათგან მე-8 პრინციპი ბავშვებს ეხება, რომლის მიხედვით, ჟურნალისტმა მათი უფლებები და ინტერესები უნდა დაიცვას. შესაბამისად, ისეთი მასალის გავრცელებისგან თავი უნდა შეიკავოს, რაც არასრულწლოვნებისთვის საფრთხის შემცველი იქნება. ასევე, მედიის წარმომადგენელმა 16 წლამდე ასაკის მოზარდს მშობლისა ან მეურვის თანხმობის გარეშე, არ უნდა ჩამოართვას ინტერვიუ და გადაუღოს სურათი, იმ კუთხით, თუ მას შეიძლება ამის გამო პრობლემა შეექმნას. აღსანიშნავია, მე-10 პრინციპიც, რაც მდგომარეობს იმაში, რომ ჟურნალისტმა პატივი უნდა სცეს ადამიანის პირად ცხოვრებას და არ შეიჭრას მასში, თუ საზოგადოების მხრიდან დიდი ინტერესი არ იქნება. ძირითადად, ჩვენი კვლევა ქარტიის მე-8 და მე-10 პრინციპის დარღვევას ეხება.

ჩვენ მიერ შესწავლილ სამეცნიერო ნაშრომებსა და ანგარიშებში, ფაქტობრივად, წამოდგენილია მთავარი თემა, რომელიც ბავშვთა საკითხების გაშუქებას ეხება. ვფიქრობ, ზემოხსენებული სახელმძღვანელოებიც ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია და საერთო პრობლემას წამოჭრის, რაც ხაზს უსვამს მედიის მხრიდან იმ შეცდომებს,რომლებიც არასრულწლოვნების მისამართით შეინიშნება.

თავი II - კვლევის შედეგები

2.1 რაოდენობრივი კონტენტ - ანალიზი

2.1.2 ტელეკომპანია „იმედი“ – „იმედის დღე“

ჩვენი კვლევისთვის ტელემედიად ავირჩიეთ ტელეკომპანია „იმედის“ გადაცემა „იმედის დღე“ , რომელიც ეთერში გადის ყოველდღე,შაბათ-კვირის გარდა,12:30 სთ - ზე . დაკვირვების პერიოდში, გადაცემაში ვხვდებოდით სოციალურ და კულტურულ თემებს, რომლებსაც აშუქებდნენ შემდეგი ჟურნალისტები : ნიკოლოზ წულუკიძე, ეკა ამირეჯიბი, თიკა წერეთელი, თიკო ფეიქრიშვილი და ეკო ფანგანი . გადაცემა მითითებულ დროს იწყებოდა, ხოლო მისი ხანგრძლივობა , დაახლოებით 1 საათსა და 15 წუთს შეადგენდა.

რაოდენობრივი კვლევის საშუალებით, უპირველეს ყოვლისა, დავთვალეთ , 2020 წლის 1 იანვრიდან 2020 წლის 29 თებერვლის ჩათვლით, რამდენჯერ გავიდა გადაცემა ეთერში და აქედან რა ნაწილი დაეთმო ბავშვებს. 2020 წლის პირველი გადაცემა დაიწყო 8 იანვრიდან. მთელი ამ დროის განმავლობაში, გადაცემა ეთერში გავიდა 37 - ჯერ . აქედან, ბავშვთა საკითხებს დაეთმო 27 გადაცემა. იყო შემთხვევები, როდესაც დღის განმავლობაში, 18 წლამდე პირების შესახებ 3 სახის ინფორმაციაც განიხილებოდა. 8, 17, 20, 21 იანვარს და 7, 19, 21, 25, 26, 28 თებერვალს ბავშვთა საკითხებზე ყურადღება არ გამახვილებულა. რაც შეეხება მასალას,რომელშიც ჟურნალისტების მხრიდან აშკარა ეთიკური ნორმების დარღვევები შეინიშნებოდა, აღმოჩნდა 9 გადაცემა.

რაოდენობრივი კვლევა დაგვეხმარა შეგვედგინა კოდირების სახელმძღვანელო და დაგვეთვალა ის სიტყვები, რომლებსაც ყველაზე ხშირად იყენებდნენ ჟურნალისტები. (**იხ. ცხრილი N1**)

ცხრილი N1

გამოყენებული სიტყვები	რაოდენობა
ბავშვი	312
მშობელი	164
შვილი	84
სკოლა	60
მასწავლებელი	55
მოსწავლე	34
მოზარდი	28
ძალადობა	27
განათლება	23
გოგონა	17
ბავშვობა	16
გარდატეხის ასაკი	15
თინეიჯერი	10
ახალგაზრდა	7
შვილად აყვანა	7
ბიჭი	6
სწავლა	6
არასრულწლოვანი	2
ბაღი	2
მომავლის თაობა	2

ცხრილში ნათლად ჩანს, რომ ყველაზე ხშირად გამოყენებული სიტყვებია: ბავშვი(312-ჯერ) , მშობელი(164-ჯერ) , შვილი (84-ჯერ) , სკოლა (60-ჯერ) და მასწავლებელი (55-ჯერ). არ არის გასაკვირი, რომ სიტყვა „ბავშვი“ გადაცემაში ამდენჯერ იყო ნახსენები, რადგან ყველა ეს ინფორმაცია მათთან იყო კავშირში.

სიტყვა „მშობელი“ ძირითადად ნახსენები იყო იმ კუთხით, თუ რა უნდა გაითვალისწინონ მშობლებმა ჩვენს პატარა მეგობრებთან ურთიერთობის დროს და რა შეცდომები უნდა აირიდონ თავიდან, რათა ადრეულ ასაკში მათი ფსიქიკა არ დააზიანონ. რაც შეეხება სკოლასა და მასწავლებელს, გადაცემის შინაარსიდან გამომდინარე,საყურადღებოა, თუ რა გარემოში იღებენ სწავლა-განათლებას(23-ჯერ) ბავშვები და რამხელა როლი აკისრიათ პედაგოგებს მათ განვითარებასა თუ ჩამოყალიბებაში.

სიტყვა „ძალადობა“ გამოყენებული იყო 28-ჯერ. გადაცემაში გააშუქეს ამბავი, რომელიც სკოლაში ბავშვთა ძალადობას აღწერდა. ასევე, ძალადობა შეინიშნებოდა მასწავლებლების მხრიდანაც. ბავშვთა უმრავლესობა კი ამტკიცებდა,რომ პედაგოგის მხრიდან, სიტყვიერი შეურაცხყოფა არაერთხელ მიუღია.

სიტყვა „თინეიჯერს“ ვხვდებით 10-ჯერ. გადაცემაში საუბარი იყო თუ ვინ არიან თინეიჯერები, რა გამოწვევებსა და დაბრკოლებებს აწყდებიან გარდატეხის ასაკში(15-ჯერ) და როგორ უნდა დავეხმაროთ მათ, როდესაც ისინი შინაგანად გაურკვეველ და სტრესულ მდგომარეობაში იმყოფებიან. გადაცემაში მოწვეული ექსპერტები კი სიღრმისეულად განიხილავდნენ ამ საკითხს, რუბრიკის წარმომადგენლებთან ერთად. ჟურნალისტები კი გვიზიარებდნენ საკუთარ გამოცდილებას, რომელსაც შვილებთან ურთიერთობისას აწყდებოდნენ.

რაც შეეხება სიტყვა „შვილად აყვანა“-ს , ცხრილიდან გამომდინარე, გვხვდება 7-ჯერ. „იმედის დღე“-მ გააშუქა ინფორმაცია ნაშვილებ ბავშვებთან დაკავშრებით.ასევე,მაყურებელს მოუწოდა, რომ ისინი არაფრით განსხვავდებიან, იმ ბავშვებისგან, რომლებიც ბიოლოგიურ მშობლებთან ერთად იზრდებიან. გადაცემის ბოლოს,განხილული იყო იმ დედების წარმატებული მაგალითები, რომლებიც „სხვა მშობლების შვილებს“ ზრდიდნენ.

სიტყვა „არასრულწლოვანი“ შეგვხვდა 2-ჯერ. მიუხედავად იმისა, რომ თემა, ფაქტობრივად, მათ გარშემო იყო, ჟურნალისტებმა ეს სიტვა მხოლოდ ორჯერ გამოიყენეს.

ბოლოს,სიტყვა „მომავლის თაობა“ გამოყენებულია 2-ჯერ. ჟურნალისტებმა ახალ თაობას, მომავლის თაობა უწოდა, რომელიც 21-ე საუკუნეში ძალიან მარტივად ითვისებს ყველაფერს. ისინი გვირჩევდნენ, რომ ამ ასაკის წარმომადგენლებს დიდი დაკვირვებითა და სიფრთხილით მოვეპყრათ, რათა ხელი შევუწყოთ მათ კარგ,ზრდასრულ პიროვნებებად ჩამოყალიბებაში.

რაოდენობრივი კვლევის ერთ-ერთ მიზანს ისიც წარმოადგენდა, რომ გაგვერკვია თუ რა თემებზე ამახვილებდა ყურადღებას „იმედის დღე“ ,შესაბამისად,მონაცემები დიაგრამის საშუალებით წარმოვადგინეთ. **(იხ.დიაგრამა N1)**

<u>**დიაგრამა N1**</u>



მოცემული დიაგრამიდან ნათლად ჩანს,რომ გადაცემა „იმედის დღე“ ყველაზე ხშირად საგანმანათლებლო თემებს აშუქებდა. იყო ინფორმაცია მშობლებისთვისაც თუ რა მიდგომები უნდა გამოიყენონ შვილებთან ურთიერთობისას,რათა მათთან ჰარმონიულ ურთიერთობაში დარჩნენ და ნდობა მოიპოვონ. ამავდროულად, გადაცემაში წინა ადგილს იკავებდა

მოზარდების განათლების (სექსუალური) საკითხიც. საუბარი იყო როგორც სკოლებზე, ასევე ბაღებზე.

მეორე ადგილს უჭირავს ჯანმრთელობის საკითხს. გადაცემაში იყვნენ მოწვეული როგორც ფსიქოლოგები, ასევე ექიმები, რომლებიც საუბრობდნენ მიმდინარე თუ მოსალოდნენ გრიპებზე, ასევე გასცემდნენ რეკომენდაციებს თუ როგორ უნდა დაგვეცვა ბავშვები ავადმყოფობისგან. აღსანიშნავია, ის ფაქტიც, რომ არც ერთი ინფორმაცია არ გაშუქებულა ისეთი, რომელიც გარდაცვლილ ბავშვს ეხებოდა. ამასთანავე, კორონავირუსზე ჟურნალისტებმა საუბარი დაიწყეს 2020 წლის 26 იანვარს, როდესაც საქართველოში ვირუსის პირველი შემთხვევა დაფიქსირდა და გადაცემაში კოვიდთან დაკავშირებით, მცირე ინფორმაციას ავრცელებდნენ.

რაც შეეხება სოციალურ საკითხებს, „იმედის დღე“-ში შუქდებოდა ბავშვთა ძალადობის ფაქტები, ასევე ის, თუ რა განსაცდელებს აწყდებიან მოზარდები გარდატეხის პერიოდში, როგორ დავიცვათ ბავშვი ნარკოტიკული ნივთიერებებისგან და ა.შ...

დიაგრამიდან ჩანს, რომ გართობის შესახებ ძალიან მცირე ინფორმაციას ვხვდებით. „იმედის დღის“ ერთ-ერთი წამყვანი, ნიკოლოზ წულუკიძე ხშირად მოგზაურობდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში და ამზადებდა სიუჟეტებს, რომლებსაც მეტად გასართობი ხასიათი ჰქონდა. გადაცემაში ბავშვები გართობის კუთხით, ნაკლებად არიან წარმოდგენილი. მხოლოდ ჩანდნენ თუ როგორ თამაშობდნენ ან თხილამურებით სრიალებდნენ.

თბილისში,ასევე ინდოეთში, გაიმართა ფესტივალი, სადაც ქართველი ბავშვები იყვნენ წარდგენილნი და, ფაქტობრივად, ჩვენი ქვეყნის კულტურას აცნობდნენ დანარჩენებს. გადაცემაში სწორედ ამ კუთხით იყვნენ ბავშვები და კულტურა ერთმანეთთან დაკავშირებული.

„იმედის დღის“ ერთ-ერთი წამყვანი გახლავთ ეკო ფანგანი, რომლის რუბრიკაც მოდას ეხება. მას სტუმრად ჰყავდა 17 წლის ცნობილი ქართველი მოდელი

მატილდა გვარლიანი, რომელიც მის კარიერულ წინსვლასა და მოდის საკითხებზე საუბრობდა.

რაც შეეხება მუსიკალურ თემას, გადაცემაში რუბრიკა „გაიცანი“-ში სტუმრად იყო 14 წლის ქართველი გოგონა, რომელიც პროფესიონალურად მღეროდა. საკვლევი პერიოდის განმავლობაში,მხოლოდ ეს იყო ის ერთი შემთხვევა, როდესაც ბავშვისა და მუსიკის ერთმანეთთან გადაკვეთას ვხვდებით.

რაოდენობრივი კვლევის დროს, ერთ-ერთი მთავარი ამოცანა ის იყო, რომ გადაგვემოწმებინა თუ რა წყაროებზე დაფუძნებით მოიპოვებდნენ ჟურნალისტები მასალას და ავრცელებდნენ ინფორმაციას არასრულწლოვნების შესახებ. ამიტომ ცხრილში დეტალურად აღვრიცხეთ ეს. **(იხ. ცხრილი N2)**

ცხრილი N2

შალვა ამონაშვილი	აკადემიკოსი,ფსიქოლოგი
ილიკო მოსაშვილი,მარიამ შენგელია	თინეიჯერები
ივანე ჩხაიძე	პროფესორი,მედიცინის დოქტორი
ბადრი სხირტლაძე	ანიმატორი
თამარ კერძაია	ევროპის უნივერსიტეტის რექტორი
გოგა ჩანადირი	ფოტოგრაფი
თათია დოლიძე	საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურისა და პროგრამის ხელმძღვანელი
პაატა იმნაძე	დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილე
მაია ქურციკიძე	გაეროს ბავშვთა ფონდის საქართველოს ოფისის კომუნიკაციის პროგრამის ხელმძღვანელი

სალომე ჩარკვიანი	მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენელი
ქეთი ასათიანი	ენდოკრინოლოგი
ქეთი ნემსაძე	პედიატრი
სოსო შურღაია	სექსოლოგი
ნინო ციკარიშვილი	რევმატოლოგი
სოფიო გოგოხია	მასწავლებელი
ეკა უბერი	პედიატრი
ბარბარე ჭკუასელი	ფსიქოლოგი
მატილდა გვარლიანი	მოდელი
ნინო მარგველაშვილი	ნეიროფსიქოლოგი
გიორგი ჭაუჭიძე	მარნეულის მე-2 სკოლის მასწავლებელი
ირაკლი აბულაძე	ოფთალმოლოგი
ამირან გამყრელიძე	დაავადების კონტროლის ცენტრის ხელმძღვანელი
ია დავითაძე	მუსიკალური სასწავლებლის გუნდის წევრი
ტასო ლოსაბერიძე	მიუსაფარი ძაღლების შემფარებელი
მარინა კაჭარავა	ფსიქოლოგი
უტა ბერია	რეჟისორი
ლექსო გუგავა; ნონო ანდღულაძე	მორაგბეები
მაია ცირამუა	ფსიქოლოგი
ლია მუხაშავრი	იურისტი
დავით ჯმუხაძე	ყბა-სახის ქირურგი
ნინო ცაციაშვილი	საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე

ლელა აქიაშვილი	პრემიერ-მინისტრის მრჩეველი ადამიანის უფლებათა დაცვისა და გენდერული თანასწორობის საკითხებში
ანნა გუგულაშვილი	„სოფლის ნობათის“ მარკეტინგის მენეჯერი
მარინა უშვერიძე	უსაიდ-ის სამოქალაქო განათლების პროგრამის დირექტორი
გიორგი მიქიაშვილი	შრომის,უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის ექსპერტი
რაუფ აბაქიშიერი;აისუნ ნურმამედოვა; სევილა ლახვედიევა	მარნეულის სკოლის მოსწავლეები
ლელა მჭედლიშვილი	მასწავლებელი
თამუნა კეკელიძე	პროგრამის ხელმძღვანელი, რომლის საშუალებითაც არაქართულენოვან მოსწავლეებს შესაძლებლობა აქვთ,ისწავლონ ქართული ენა
თამარ გეგეშიძე	მწერალი
სალომე სანაია	მარინა ბაკურაძის(ჟურნალისტი) შვილი
თამარ გაგოშიძე	ნეიროფსიქოლოგი
თინათინ ცერცვაძე	საქართველოს დებატებისა და განათლების ინსტიტუტის ხელმძღვანელი
ზურაბ კერვალიშვილი	გუდავაძე-პატარკაციშვილის ფონდის დირექტორი
ნანა ტატიშვილი	მ.იაშვილის ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფოს ნეირომეცნიერების

	დეპარტამენტის ხელმძღვანელი. მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი
დავით გიორგობიანი	წარსულში ნარკოტიკებზე დამოკიდებული ადამიანი, რომელმაც რეაბილიტაცია წარმატებით გაიარა
რეზო ღოღობერიძე	ფსიქოსოციალური სარეაბილიტაციო ცენტრ „გამოსავალის“ დამფუძნებელი

ცხრილიდან ჩანს, რომ გადაცემას ყველაზე ხშირად სტუმრობდნენ ფსიქოლოგები,პედაგოგები და ექიმები. დავამატებ იმასაც,რომ გადაცემაში მარნეულის მე-2 სკოლის მასწავლებელი, გიორგი ჭაუჭიძე და ნეიროფსიქოლოგი ნინო მარგველაშვილი, ორჯერ იყვნენ მიწვეულნი. როგორც აღვნიშნეთ, „იმედის დღე“-ში ინტენსიურად ვრცელდებოდა ბავშვთა განათლებისა და ჯანმრთელობის საკითხები. სწორედ ამიტომაც ჰყავდათ სტუმრად ზემოხსენებული პირები.

რაოდენობრივი კონტენტ-ანალიზი დაგვეხმარა საკვლევი კითხვების პასუხის გაცემაში,რომლიც შინაარსიც მდგომარეობდა იმაში, თუ რამდენად ხშირად აშუქებდა „იმედის დღე“ ბავშვთა საკითხებს, რა სახის ინფორმაციებს ავრცელებდა იგი და რომელ წყაროებზე დაფუძნებით.

2.1.3 „სპუტნიკ-საქართველო“

ჩვენი თემის კვლევისთვის ავირჩიეთ ონლაინ მედია „სპუტნიკ-საქართველო“ , რომელიც საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის წევრებისგან არაერთხელ გამხდარა კრიტიკის ობიექტი, რადგან როგორც ვახსენეთ, რუსულ პროპაგანდას ეწევა.მისი მფლობელი ანტონ (ტატო) ლასხიშვილი გახლავთ. „ Sputnik-ი ლაპარაკობს იმაზე, რაზეც სხვები არ ლაპარაკობენ“. [4] ნათქვამია მათ ოფიციალურ ვებგვერდზე.2020 წლის 1 იანვრიდან 29 თებერვლის ჩათვლით,

[4] „სპუტნიკ-საქართველოს“ ერთ-ერთი დევიზი

ვებგვერდზე ყოველდღიურად 55 მასალამდე შუქდებოდა, რომლის ნაწილს ბავშვთა თემატიკა წარმოადგენდა. აღსანიშნავია ისიც,რომ ახალ ამბებთან ერთად, ონლაინ მედია სტატიებსაც აქვეყნებდა. საკვლევი პერიოდის განმავლობაში, ბავშვთა საკითხებს,ფაქტობრივად,150 მასალა დაეთმო. ხოლო, 4 იანვარს, 18 და 22 თებერვალს „სპუტნიკ-საქართველო“-ს ვებგვერდზე არასრულწლოვანთა შესახებ ინფორმაცია არ გაშუქებულა. აქედან დავაჯგუფეთ ყველა ის გავრცელებული ინფორმაცია, რომელშიც ბავშვთა ეთიკის საკითხები დარღვეული იყო, პირდაპირ თუ ირიბად.მიუხედავად იმისა,რომ სულ 20 დღის მასალა დაგროვდა,აღსანიშნავია ისიც, რომ დღის განმავლობაში გავრცელებული რამდენიმე ინფორმაციიდან, 2-3 მათგანშიც ცხადი იყო ეთიკური ნორმების დარღვევები.უპირველეს ყოვლისა, შევადგინეთ კოდირების სახელმძღვანელო და დავითვალეთ სიტყვები, რომლებსაც ჟურნალისტები იყენებდნენ ბავშვთა თემების მომზადების დროს. **(იხ.ცხრილი N3)**

ცხრილი N3

ხშირად გამოყენებული სიტყვები	**რაოდენობა**
ბავშვი	215
შვილი	136
ვაჟი	120
პატარა	78
სკოლა	75
გოგონა	71
არასრულწლოვანი	48
მშობელი	46
ბაღი	38
მასწავლებელი	33
მოსწავლე	32
ახალშობილი	27
მოზარდი	26

ბიჭუნა	21
საბავშვო	20
ჩვილი	12
მცირეწლოვანი	8
თინეიჯერი	6
ახალგაზრდა	3

ცხრილიდან გამომდინარე, ყველაზე ხშირად გვხვდება ბავშვი(215-ჯერ) , შვილი(136-ჯერ),ვაჟი(120-ჯერ).ვებგვერდზე ბავშვთა შესახებ ინფორმაცია შუქდებოდა,ისეთ თემებზე,რომლებიც მოიცავდა განათლებას, სოციალურად დაუცველ ბავშვებს, ძალადობის მსხვერპლ არასრულწლოვნებს... კვლევებმა აჩვენა, რომ „სპუტნიკ-საქართველო“ ხშირად აშუქებდა ცნობილი ადამიანების შვილების შესახებ ინფორმაციასაც. ასევე, აღსანიშნავია ისიც, რომ საკვლევი პერიოდის განმავლობაში მასალა უფრო მეტად არასრულწლოვან ბიჭებზე ვრცელდებოდა (ჟურნალისტები მათ ხშირად მოიხსენებდნენ, როგორც „ბიჭუნები“ 21-ჯერ), ვიდრე გოგონებზე(71-ჯერ).

სიტყვა „ჩვილი“ გამოყენებულია 12-ჯერ. ონლაინ მედია ხშირად გვიზიარებდა ცნობილი ადამიანების ახალდაბადებული შვილების შესახებ ინფორმაციას. ამასთანავე, აშუქებდა ტრეფიკინგის მსხვერპლ ჩვილების ისტორიებს, რომლებშიც, ფაქტობრივად, მშობელი იყო დამნაშავე.

რაოდენობრივი კონტენტ-კვლევის ერთ-ერთ მიზანს ისიც წარმოადგენდა, რომ გაგვერკვია, ჟურნალისტები რა წყაროებზე დაფუძნებით აშუქებდნენ ინფორმაციას და გამოიყენებდნენ თუ არა სხვა მედიასაშუალებას. ეს კი წარმოვადგინეთ ცხრილისა **(იხ.ცხრილი N4)** და დიაგრამის **(იხ. დიაგრამა N2)** საშუალებით.

ცხრილი N4 (გამოყენებული წყაროები)

იაშვილის კლინიკის პრესსამსახური	
სპეციალური პენიტენციური სამსახურის განცხადება	
თამარ ყიყიშვილი	იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალურ საავადმყოფოს გადაუდებელი მედიცინის ექიმი
ლიკა ბებურიძე	საქველმოქმედო ორგანიზაცია „კავკასიონის სინერგია“
გუგა ქაშიბაძე	დამწვრობის ცენტრის ხელმძღანელი
საქართველოს პრეზიდენტის პრესსამსახური	
ქედის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციის პრესსამსახური	
შსს	
თამარ არახამია	იაშვილის საავადმყოფოს პედიატრი
თამილა გოგიაშვილი	სამედიცინო ცენტრ „იავნანას“ პედიატრ-ინფექციონისტი
მაია ხერხეულიძე	ჟვანიას სახელობის პედიატრის აკადემიური კლინიკის ექიმი
ამირან გამყრელიძე	დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის დირექტორი
პაატა იმნაძე	დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის სამეცნიერო ხელმძღვანელი

სვეტლანა ოგანი	“International kids fashion week“-ის ორგანიზატორი
საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური	
თამარ ქრისტესაშვილი	პედიატრი
საბავშვო ბაღების მართვის სააგენტო	
საქართველოს საპატრიარქო	
საქართველოს პროკურატურა	
ნანა ფაცაცია	პრაქტიკოსი ფსიქოლოგი,ფსიქოთერაპევტი,ტრენერი
ილია მეორე	საქართველოს პატრიარქი
განათლების,მეცნიერების,კულტურისა და სპორტის სამინისტრო, პედაგოგებისა და სასწავლო დაწესებულებების ხელმძღვანელობა	
რატი ობოლაძე	ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელი
მარტა ქურასბედიანი	ჟურნალისტი
ბექა პატურაშვილი	ჟურნალისტი
ზაალ მიქელაძე	აჭარის ჯანდაცვის მინისტრი
ვახტანგ ბერიშვილი	„სოკარ ჯორჯია გაზის“ აჭარის რეგიონული ოფისის დირექტორი
თორნიკე ნადირაძე	პროკურორი
კახა კალაძე	თბილისის მერი

ხათუნა ლომაია	ჟვანიას კლინიკის ექიმი
აჭარის განათლების სამინისტრო	
ბექა ლაგვილავა	პროდიუსერი
ეკა დგებუაძე	განათლების მინისტრის მოადგილე
არჩილ გოგსაძე	ბაღდათის მერი
გიორგი წოწკოლაური	ჯანდაცვის მინისტრის მოადგილე
ჩინეთის ჯანდაცვის სახელმწიფო კომიტეტი	
ბორჩაშვილის სახელობის ჯანმრთელობის ცენტრი „მედინა“	
ნინო ლომჯარია	სახალხო დამცველი
ხონის რაიონული ადმინისტრაციის პრესსამსახური	
ირინა სარიშვილი	პოლიტიკოსი
ირაკლი დიასამიძე	“Geo Hospital”- ის მენეჯერი

დიაგრამა N3 (გამოყენებული მედიასაშუალებები)



დიაგრამიდან ნათლად ჩანს, რომ „სპუტნიკ-საქართველო“ სხვადასხვა მედიასაც იყენებდა. ყველაზე ხშირად , „პირველ არხს“ , ასევე რუსულ მედიასაც, რაც არც გაგვკვირვებია, რადგან მოგეხსენებათ, „სპუტნიკის მეგობრული დამოკიდებულება“ რუსეთის მიმართ.

„სპუტნიკ-საქართველოს“ მიერ გაშუქებული თემები **(დიაგრამა N4)**



დიაგრამიდან ირკვევა, რომ „სპუტნიკი“ ყველაზე დიდ დროს სოციალურ საკითხებს უთმობდა. ის აშუქებდა ბავშვებზე ძალადობის ფაქტებს,სოციალურად დაუცველებზე, ჩვილებზე, რომლებიც, ფაქტობრივად, მცირე ასაკში მშობლების მსხვერპლნი გახდნენ.

რაც შეეხება ჯანმრთელობის საკითხს, „სპუტნიკი“ სხვადასხვა რეკომენდაციას გვაწვდიდა თუ როგორ უნდა დაგვეცვა ბავშვები, რათა მოსალოდნელი ვირუსი თავიდან აგვერიდებინა. ასევე, ინტენსიურად აშუქებდა ინფორმაციას, რაც უშუალოდ არასრულწლოვნების ცხოვრების წესსზე, კოვიდის გავლენას უკავშირდებოდა.აღსანიშნავია ისიც,რომ ვებგვერდზე 7 იანვრიდან კორონავირუსზე ინფორმაციების გავრცელება დაიწყო.

კრიმინალის მხრივ, ონლაინ მედია იმ მოზარდების შესახებ გვაწვდიდა ინფორმაციას, რომლებსაც დანაშაულში ბრალი მიუძღვოდათ, ასევე ვხვდებოდით მასალას სხვადასხვა სისხლიანი გარჩევის შესახებ. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ კუთხით, არასრულწლოვნების მიმართ იდენტიფიცირების საკითხი არ დარღვეულა.

„სპუტნიკ-საქართველო“ ბავშვთა განათლებასაც ყურადღებას აქცევდა და გვთავაზობდა ინფორმაციებს თუ რა იყო საჭირო იმისთვის, რომ მოზარდი წარმატებული მოსწავლე გამხდარიყო. ასევე, ვხვდებოდით ახალ იდეებსა და პროგრამებს, რომლებიც უშუალოდ განათლებას უკავშირდებოდა. როგორც სკოლებზე, ასევე საბავშვო ბაღებზეც იყო აქცენტი გაკეთებული.

გართობის ნაწილში კი წარმოდგენილი იყვნენ ცნობილი ადამიანის შვილები, რომელთა შესახებ თავად მათი მშობლები ავრცელებდნენ ინფორმაციას INSTAGRAM-ისა და FACEBOOK-ის საშუალებით(მაგ: რუსკა მაყაშვილი, ნუკი კოშკელიშვილი,თიკა ფაცაცია...) .სწორედ ეს მასალა ჰქონდა „სპუტნიკს“ საკუთარ ვებგვერდზე ატვირთული.

„სპუტნიკი“ არა მარტო ქართველი, არამედ სხვა ეროვნების ბავშვებზეც გვაწვდიდა ინფორმაციას. მსოფლიო ამბებში წარმოდგენილი იყვნენ ბავშვები,რომლებმაც დიდ წარმატებას მიაღწიეს. ასევე, გამოქვეყნდა ინფორმაცია, სადაც რუსმა ქალმა არაფხიზელ მდგომარეობაში საკუთარ შვილზე იძალადა.

თავისთავად, მოდის მხრიდან წარდგენილი იყვნენ ბავშვები, რომლებიც სხვადასხვა სილამაზის კონკურსში იღებდნენ მონაწილეობას.ხოლო მუსიკალურ ნაწილში, წარმოდგენილი იყო პატარა ქართველი პიანისტი, რომელსაც თავის სფეროში დიდ წარმატებას ჰპირდებოდნენ.

2.2 თვისებრივი კონტენტ-ანალიზი

2.2.1 „იმედის დღე“

თვისებრივი კონტენტ-ანალიზის დახმარებით,“იმედის დღის“ გადაცემები,ფაქტობრივად, სიღრმისეულად შევისწავლეთ.ხოლო, დაკვირვების პერიოდში გამოიკვეთა წამყვანების დამოკიდებულება ბავშვთა საკითხების შესახებ. ასევე, ის მთავარი დარღვევები, რომლებსაც ჟურნალისტები უშვებდნენ ეთერში გასვლის დროს.

2020 წლის იანვარსა და თებერვალს, ხუთშაბათი დღე ეთმობოდა რუბრიკას „წესები მშობლებს“. სადაც ჟურნალისტი წარმოადგენდა კონკრეტულ საკითხს და ცდილობდა მშობლებისთვის იმ ინფორმაციისა და რჩევების მიწოდებას,რომლებიც მათ გამოადგებოდათ საკუთარ შვილებთან ურთიერთობისას. 2020 წლის 9 ინვარს,როდესაც თიკა წერეთელი თინეიჯერების შესახებ საუბრობდა და უკვე იმ ნაწილზე უნდა გადასულიყო,როდესაც მშობლებს რჩევას გაუზიარებდა, ჟურნალისტმა მარიამ ბაკურაძემ გააჟღერა შემდეგი ფრაზა:„ [5]წესები,ალბათ,ჩემნაირი მშობლებისთვის“ ,რაზეც ეკა ამირეჯიბიც გამოეხმაურა და უთხრა, „შენნაირი არ არსებობს, პრინციპში, ეს საფიქრალი,ალბათ,ნებისმიერ მშობელს აწუხებს“ .მარიამ ბაკურაძემ ქედმაღლური დამოკიდებულება გამოავლინა და თავისი თავი აღმატებულ ფორმაში დააყენა , ფაქტობრივად, ხაზი გაუსვა იმას, რომ რუბრიკა „წესები მშობლებს“ მხოლოდ კონკრეტული აუდიტორიისთვისაა განკუთვნილი და საზოგადოებაში არიან „თავისნაირი განსაკუთრებული მშობლები“ .

ამავე გადაცემაში, გარდატეხის პერიოდზე საუბრისას, მარიამ ბაკურაძე აღნიშნავს: „ვისაც ჰყავს მოზარდი შვილი,რომლებიც ებრძვიან მშობლებს, რომლებიც არ უჯერებენ ,თითქოს, არ იღებენ, აქეთ გვაბულინგებენ, მგონი და

[5] თიკა წერეთლის რუბრიკა „წესები მშობლებს“ https://www.imedi.ge/ge/video/47371/imedis-dge--9-ianvari-2020-tseli?fbclid=IwAR1P8VHDAJIDKz9la_rUy5YeK7nldMRgReakvMPwbRrdOz-KdAnC4Or-x9I#!?from=673747200&page=1&type=1&to=678931200

მოკლედ დიდ გასაჭირში გვამყოფებენ და თიკა წერეთელი დღეს ამ გასაჭირიდან ამოგვიყვანს ყველას“.ამ თემაზე სასაუბროდ თიკა წერეთელს სტუმრად ჰყავდა მოზარდი გოგონა,რომელსაც ბაკურაძემ მიმართა კითხვით:“როგორ უნდა მოიქცეს მშობელი, როცა აგრესიულები ხართ?“. ამ თემაზე სასაუბროდ მოწვეული ფსიქოლოგი შალვა ამონაშვილი,თინეიჯერობისას განცდილ სიყვარულზე საუბრობდა და ბავშვებს ურჩევდა,რომ პირადი გრძნობები მშობლებისთვის გაეზიარებინათ, რაზეც კვლავ ჟურნალისტი მარიამი პასუხობს: „ძაან დიდი სირცხვილი და მორიდებაც არ არის, რომ გაბედო და თქვა, დედა, იცი, ვიღაც მიყვარს და მაწუხებს ეს, ეს ძაან რთული არ არის?“ ფაქტობრივად, ჟურნალისტი მარიამ ბაკურაძის მხრიდან,სამივე განცხადებაში მისი სტერეოტიპული მიდგომა გამოიკვეთა. პირველი,რომ მოზარდები აუცილებლად აგრესიული არიან და მეორე, სიყვარულისა და გრძნობების გამოხატვა სირცხვილთან ასოცირდება.

10 იანვარს გადაცემაში მოწვეული სტუმრები საუბრობდნენ პროექტზე[6] „ჩემი იდეა ჩემს სკოლას“,რომელიც სკოლის მოსწავლეებს სთავაზობდა შეემუშავებინათ იდეა,რაც დაკავშირებული იქნებოდა იმასთან, თუ რა სჭირდება სკოლას.საუკეთესო იდეის ავტორი კი დაჯილდოვდებოდა 20000 ლარით. ყოველივე ამან ჟურნალისტების მხრიდან, ირონიული პასუხები გამოიწვია.მარიამ ბაკურაძე:“ისეთი სამოტივაციო პრიზია, რომ მეტყველების უნარი ცოტა დამივარდა, მგონი,სკოლაში უნდა წავიდე“. ნიკოლოზ წულუკიძე:“ „მინდა რომ მეც სკოლის მოსწავლე ვიყო“ . ბოლოს,მოწვეული სტუმარი ამბობს,რომ მასაც გააჩნია სკოლასთან დაკავშირებული იდეები,რაზეც ნიკოლოზ წულუკიძე სიცილით და პირდაპირ პასუხობს: „შენ ცალკე იშოვე 20000 ლარი“. ერთი შეხედვით, თითქოს ჟურნალისტები უწყინრად ხუმრობენ, მაგრამ ეს, ფაქტობრივად,მოწვეული სტუმრების,პროექტის და იდეეის ავტორების მიმართ პირდაპირი დაცინვაა,რაც,რასაკვირველია,შეურაცხმყოფელია.

---

6 ევროპის უნივერსიტეტის პროექტი „ჩემი იდეა ჩემს სკოლას“ h t t p

23 იანვრის გადაცემაში ბავშვების კვებას განიხილავდნენ. ეკა ამირეჯიბმა განაცხადა,რომ ამ საკითხზე ყურადღება მათ დიდი ხანია არ გაუმახვილებიათ. როდესაც თიკა წერეთელი დაზუსტებული კვლევების მიხედვით,რჩევებს აძლევდა მშობლებს თუ რა ფორმით უნდა მიეწოდებინათ შვილებისთვის საკვები, [7] ამ ამბავს მარიამ ბაკურაძე ირონიით გამოეხმაურა: „რომელი მშობელი აჭმევს შვილს თევზს და ბროკოლს ასეთი ფორმით, იმ მშობელს ვაღიარებ“. რაზეც ეკა ამირეჯიბი კრიტიკული სახით პასუხობს „ ხომ იცი, რომ ,აი, თითზე წამოცმული ჟოლოთი , არ იზრდებიან ბავშვები“.უპირველეს ყოვლისა, ეკა ამირეჯიბმა და თიკო წერეთელმა კვლევის იდეის ავტორი გააკრიტიკეს. შესაძლებელია,მოცემულ კვლევას მშობელთა დიდი ნაწილი მიმართავდა,შესაბამისად,წამყვანების მსგავსი რეპლიკები მათთვისაც შეურაცხმყოფელი იქნებოდა.

29 იანვარს ეკო ფანგანს სტუმრად ჰყავდა მოდელი, მატილდა გვარლიანი. [8]გადაცემის წამყვანმა ეთერში მატილდას წარმოშობაზე ბევრჯერ გაამახვილა ყურადღება, რადგან ისიც სვანია.მისი საუბრის მანერიდან გამომდინარე,შთაბეჭდილება იქმნება,რომ მხოლოდ სვანები არიან განსაკუთრებული სილამაზის მატარებელნი. მატილდამ აღნიშნა,რომ მას ცნობილი ადამიანების პაროდიის ნიჭი აქვს, რაზეც ეკო ფანგანი „ჩააცივდა“ და

---

[7] ბავშვის კვება https://www.imedi.ge/ge/video/47420/imedis-dge--10-ianvari-2020-tseli?fbclid=IwAR3jZ9hScxou6XdvlwEehoV4YeXMabNthPdJTrVjU7FZChmcpP4C0vjfFZE#!?type=1&page=1&from=1569196800&to=1574294400

[8] ეკო ფანგანის რუბრიკა . „13 კითხვა მატილდა გვარლიანთან“ https://www.imedi.ge/ge/video/48333/imedis-dge--29--ianvari-2020-tseli?fbclid=IwAR2NWa0qNpxwyhZlAciOjyOiy05FpXOgcvvvvVxmjE5F_P80XHLtKmGxdO4#!?type=1&page=1&from=1569196800&to=1574294400

სთხოვდა, რომ ეს ნიჭი პირდაპირ ეთერში გაეზიარებინა,რაზეც გოგონას მხრიდან, უარი მიიღო.ამ ფაქტს,ეკა ამირეჯიბიც გამოეხმაურა და ეკოს უთხრა,რომ მატილდას უხერხულ მდგომარეობაში ნუ ჩააყენებდნენ. აღსანიშნავი იყო, ეკო ფანგანის მიმართვა მატილდას მისამართით :„იმის, გადმოსახედიდან მაინტერესებს“ , მან გოგონა მოიხსენია, როგორც „იმის“ , რაც ,რასაკვირველია,უხეში გამოვლინებაა

31 იანვრის სიუჟეტში, სადაც ექიმი ბავშვს თვალზე ოპერაციას[9] უკეთებდა ახალშობილის სახე არ იყო დაფარული.

10 თებერვლის გადაცემის ანონსი დაიწყო ინფორმაციით,[10]რომ 6 წლის ნუცა საჯაიამ 112-ში დარეკა და ბებოს ცუდად ყოფნა შეატყობინა. ასევე, ჟურნალისტებმა გადაცემის დასაწყისშივე თქვეს,რომ სტუდიაში 112-ის თანამშრომლებს მოიწვევდნენ, თუმცა გადაცემა ისე დასრულდა, რომ ამ ინფორმაციაზე მათ არაფერი უთქვამთ და არც სტუმრები მოუწვევიათ.ამის მაგივრად, მთელი სიუჟეტი ოსკარის ცერემონიას დაეთმო.

11 თებერვალს გადაცემაში მოწვეული სტუმრები საუბრობდნენ მათ მიერ შექმნილ ფილმზე „უარყოფითი რიცხვები“ ,[11] რაც ასახავდა არასრულწლოვნების ცხოვრებას, რომლებიც ციხეში ისხდნენ. როდესაც მარიამ ბაკურაძე სტუმარს

9

რეტინოპატიის მკურნალობა https://www.imedi.ge/ge/video/48474/imedis-dge--31--ianvari-2020-tseli?fbclid=IwAR3PO0MY4f2b-t-mdTVRqVODWikQj5ge1SP4-vwckYwsmhDISeLVxOFLT90#!?type=1&page=1&from=1535673600&to=1540857600

10 6 წლის ნუცა საჯაიას ზარი 112-ში https://www.imedi.ge/ge/video/48990/imedis-dge--10-tebervali-2020-tseli?fbclid=IwAR3jopxspFekYnZg0VFIaABIJj--u4FZbAhg62CkkJLBVpHCEKWXDA851Co#!?type=1&page=1&from=1354492800&to=1359590400

11 უტა ბერია „უარყოფითი რიცხვები“ https://www.imedi.ge/ge/video/49042/imedis-dge--11-tebervali-2020-tseli?fbclid=IwAR1cGyJiLmIziqsGLKL-9smAYcOv4TwEr5KuqPkCcy7EO029ksGgBhwaEUo#!?type=1&page=1&from=1569196800&to=1574294400

ეკითხებოდა თუ რას დაახვედრებდნენ კინოთეატრში, ნიკოლოზ წულუკიძემ სიცილით მიუგო: „გარდა პოპკორნისა“. ნიკოლოზის პასუხზე ყურადღებას არ გავამახვილებდი,იმ შემთხვევაში,თუ ეს ფილმი პოზიტიურ კონტექსტთან კავშირში იქნებოდა,მაგრამ ფილმი მძაფრსიუჟეტიანია.გადაცემის ამ მონაკვეთში ეკა ამირეჯიბის დამცინავ პასუხსაც ვხვდებით, როდესაც რეჟისორი ამბობს,რომ ფილმი მაყურებლისთვის გადაიღო, რაზეც წამყვანი სიცილით პასუხობს: “გაგიკვირდებათ და“ , მისი კომენტარი უადგილო და შეუსაბამო იყო, თან ისეთ ფილმზე, რომლის შინაარსიც არის თუ რა გაუსაძლის პირობებში უწევთ მოზარდებს ციხეში ცხოვრება.

18 თებერვლის გადაცემაში, თიკო ფეიქრიშვილის რუბრიკაში “მე , მოქალაქე“ , ჟურნალისტები სტუმრებთან ერთად საუბრობდნენ პროგრამაზე,[12]რომელიც სპეციალურად არაქართულენოვანი სკოლის მოსწავლეებისთვის შეიქმნა, რათა ქართული ენა კარგად შეესწავლათ. თიკო ფეიქრიშვილმა არ დაასრულებინა აზრის დაფიქსირება სტუმარს: „ვჩქარობ მის შემოყვანას“-განაცხადა მან, რადგან სხვა სტუმარი უნდა მოეწვია. მისი მხრიდან, მსგავსი განცხადება გადაცემის ბოლოსაც დაფიქსირდა, როდესაც მოწვეულ სტუმარს საუბარი გააწყვეტინა და უთხრა „სასიამოვნოა,ფაქტიურად, დრო და საუბარი ისე წავიდა,რომ საუბარო ამოვწურეთ“ , როდესაც აზრი ბოლომდე, არც მეორე სტუმარს ჰქონდა ჩამოყალიბებული.

20 თებერვლის გადაცემაში, სადაც იმ ნაწილში,როდესაც ბავშვებზე საუბრობდნენ მოწვეული იყო ამავე გადაცემის ჟურნალისტის, მარინა ბაკურაძის შვილი , სალომე სანაია.[13] გოგონა საუბრობს წიგნზე,რომელმაც მისი დიდი

---

[12] პროგრამა არაქართულენოვანი მოსწავლეებისთვის https://www.imedi.ge/ge/video/49440/imedis-dge--18--tebervali-2020-tseli?fbclid=IwAR1rAjE4Y-JAAHp6VL0Icr3YV0XAfiaVHHtp20PSxMydo_pTDUGDKY2L7lg#!?type=1&page=1&from=1539216000&to=154440000

[13]

სალომე სანაია საუბრობს თამარ გეგეშიძის წიგნზე „საშლელები“ https://www.imedi.ge/ge/video/49567/imedis-dge--20--tebervali-2020-

მოწონება დაიმსახურა, თუმცა იმასაც აღნიშნავს, რომ წიგნისადმი დიდი სიყვარულით არ გამოირჩევა, რაზეც თიკა წერეთელი პასუხობს:„მარინა ბაკურაძის შვილი ამბობს ამას,რომ წიგნების მოყვარული არ ვარო,ცოტა დროებითი მგონია ეს ყველაფერი“ . ჟურნალისტის მხრიდან, მსგავსი განცხადება სტიგმაა, რომ ჟურნალისტის შვილს აუცილებლად უნდა უყვარდეს წიგნის კითხვა.

2.2.2 „სპუტნიკ-საქართველო“

თვისებრივი კონტენტ- ანალიზის საშუალებით, გამოიკვეთა ყველა ის ეთიკური ნორმის დარღვევა, რაც „სპუტნიკ-საქართველოს“ ვებგვერდზე განთავსებულ ინფორმაციებში ვხვდებით. ესენია :

1. ჟურნალისტების მხრიდან შეუსაბამო ტერმინები
2. „ბავშვების გამოყენება“ ინფორმაციისთვის
3. არასრულწლოვნის სექსუალური კუთხით წარმოჩენა
4. სკანდალური და მწვავე სათაურები
5. არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების აფიშირება

პირველ კატეგორიაში მოხვდა შემდეგი მასალები: 1 იანვარს გაშუქდა ინფორმაცია, [14] რომლის შინაარსი იყო, რომ ახალი წლის ღამით 7 ბავშვს

tseli?fbclid=IwAR0cpui3HV1yloiXuC-nyBfJrYBd2jkfVqa9mSJa4FyEU13WJ6TeLiABN88#!?type=1&page=1&from=1529366400&to=1534550400

[14] ახალ წელს პიროტექნიკის გამო ბავშებს ოპერაცია დასჭირდათ https://sputnik-georgia.com/20200101/saxifaTo-piroteqnika-247402916.html

ოპერაცია დასჭირდა, პიროტექნიკის გამოყენების გამო. მასალაში ნახსენებია ე.წ „ხლაპუშკა“ , რომელიც რუსული სიტყვიდან მომდინარეობს.ფაქტობრივად,ჟარგონია და მისი შეცვლა შეიძლება სხვა სიტყვით ,მაგალითად, „ასაფეთქებელი“.

3 იანვარს[15] „სპუტნიკმა“ გამოაქვეყნა ინფორმაცია თუ როგორ ატარებდნენ ახალ წელს თბილისის მერი კახი კალაძე და ანუკი არეშიძე შვილებთან ერთად. „უმცროს ვაჟს ნიკოლას,ერთ წლამდე საგულდაგულოდ მალავდნენ“ ნახსენებია ტექსტში. ასევე, ყურადღება გამახვილებულია იმ ფაქტზეც, რომ წყვილი მდიდარ კურორტებსა და ქალაქებში ისვენებს, მაგრამ მაინც აქცევენ შვილებს ძალიან დიდ ყურადღებას.

8 იანვარს ინფორმაცია ეთმობა მსახიობ ილო ბეროშვილისა და ანი ბებიას შვილის ამბავს. ასევე, ტექსტში წერია, რომ წყვილი ერთად ყოფნას დიდი ხანი მალავდა, „მაგრამ თბილისში რა დაიმალება?

14 იანვრის[16] ამბავი ეძღვნებოდა ჩვილს, რომელიც დედამ მატარებლის კიბეზე „დააგდო“. მას შემდეგი სათაური ჰქონდა “მთვრალმა დედამ ჩვილი გადააგდო, „კადრში ჩანს როგორ მოათრევს ის ჩვილს, შემდეგ კი მატარებლის კიბეზე აგდებს“. მასალას თან ახლავს ვიდეოც, თუმცა ის წაშლილია. უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია ის, რომ სიტყვა „მოათრევს“ არ უნდა გამოეყენებინა ჟურნალისტს, რადგან საუბარია ჩვილზე და არა უსულო საგანზე, მაგრამ ჟურნალისტურ ტექსტში არც მსგავსი სიტყვა არ გამოიყენება.

ამავე დღეს „სპუტნიკმა“ გაავრცელა ინფორმაცია, რაც კორონავირუსთან იყო დაკავშირებული. მასალაში ნახსენები იყო: „არ დავუშვათ დაავადებული ბავშვები მეცადინეობაზე“. გასაგებია,რომ შეიძლება დაავადებული გამოიყენო ბავშვზე, რომელსაც გრიპი ან ინფექცია აქვს, მაგრამ ამ შემთხვევაში შესაძლოა, იმ

[15] როგორ ატარებდნენ კახი კალაძე და ანუკი არეშიძე ახალ წელს . https://sputnik-georgia.com/20200103/anuki-areshidze-axali-weli-247410289.html

[16] დედამ შვილი მატარებლის კიბეზე დატოვა https://sputnik-georgia.com/20200114/mTvralma-da-SiSvelma-qalma-Cvili-matareblis-kibeze-daagdo-247484610.html

არასრულწლოვნებს, რომლებსაც თუნდაც გრიპი ჰქონდათ გადატანილი, შეურაცხმყოფელად მიეღოთ.

15 იანვრის ინფორმაცია [17]შეეხებოდა ბავშვთა ჰიგიენის საკითხს. კერძოდ, ამერიკული კომპანიის მიერ შემუშავებულ პატარების საფენს, რომლის გამოყენებაც მეტად კომფურტული და მარტივია. თუმცა ინფორმაცია იწყება სათაურით „ჭკვიანი პამპერსი“ . უპრიანი იქნებოდა, თუ მას ჩაანაცვლებდნენ სიტყვით - „საფენი“ .

28 იანვარს [18]ინფორმაცია დაეთმო ნოე სულაბერიძისა და ჯანეტ ქერდიყოშვილის გოგონას. ტექსტში წერია : „მიუხედავად იმისა, რომ ნოეს მექალთანე მამაკაცად მიიჩნევენ“ . ეს როგორც ნოეს მიმართ, ისე ოჯახის წევრებისთვისაც ძალიან დამამცირებელია (რასაკვირველია,ნოეს შვილებისთვისაც)

21 თებერვალს[19] „სპუტნიკმა“ გამოაქვეყნა ინფორმაცია,რომლის შინაარსიდან გამომდინარე, მსახიობი გიორგი ყიფშიძე შვილს ელოდებოდა. სათაურში ვკითხულობთ „ნახეთ რა უცნაურ სახელს არქმევს მას“ . მოცემული სათაური სკანდალურ სათაურსაც მიეკუთვნება, მაგრამ,ფაქტობრივად, ეს არის სხვის ცხოვრებაში უხეშად ჩარევა და შეურაცხყოფის მიყენება

მეორე კატეგორიაში მოხვდა 13 იანვრის [20] ინფორმაცია, რომლის სათაურია: „თამო ვაშალომიძის ქალიშვილი ძალიან შეიცვალა“ . გამოქვეყნებულ მასალაში

17

„ჭკვიანი პამპერსები“ https://sputnik-georgia.com/20200115/Wkviani-pampersi-247494449.html

18 https://sputnik-georgia.com/20200128/noe-sulaberidzes-da-janet-qerdiyoshvili-shvili-fotoebi-247589331.html

19 https://sputnik-georgia.com/20200221/giorgi-kipshidze-shvili-mesame-247783531.html გიორგი ყიფშიძე მესამე შვილის მოლოდინშია

20 „ვის ჰგავს თამო ვაშალომიძის შვილი?“ https://sputnik-georgia.com/20200113/vashalomidzus-qalishvili-sheicvala-247473185.html

მხოლოდ რამდენიმე წინადადება ეთმობა თამოს შვილს, სოფიას. ყურადღება გამახვილებულია თუ როგორი სკანდალური, ეპატაჟური და სექსუალურია ვაშალომიძე, ასევე, როგორ ინარჩუნებს სხეულის ლამაზ ფორმებს.

18 იანვარს[21] ინფორმაცია დაეთმო მოდელი რუსა ჩაჩუას ვაჟის დაბადების დღეს. თუმცა ინფორმაცია მაინც იმ ჭრილშია წარმოდგენილი, რომ მოდელი ამ ასაკში სულ უფრო და უფრო მომხიბვლელი ხდება და იდეალურ წონას ინარჩუნებს.

19 იანვარს კი გამოქვეყნდა ინფორმაცია თიკა ფაცაციას შვილის დაბადების დღესთან დაკავშირებით. ეს მასალაც ისეა წარმოდგენილი, როგორც ზემოხსენებული ინფორმაციები.

22 იანვარს კი ინფორმაცია იწყება შემდეგით : „სალომე ღვინიაშვილმა უფროსი ვაჟი პირველად გამოაჩინა“ [22]. თუმცა მთავარ ფოტოზე არის საცურაო ფორმით გამოწყობილი სალომე ღვინიაშვილი. სწორედ ამის შემდეგ ვხედავთ დედა-შვილის საერთო ფოტოებს. მსგავსი მიდგომით გამოქვეყნდა 24 იანვრის ინფორმაცია[23] : „თიკა ჯამბურიას ერთადერთი ქალიშვილი ძალიან გაიზარდა“. მთავარ სურათად კი გამოყენებულია თიკას ფოტო(საცურაო ფორმით).

22 იანვარს [24]„სპუტნიკმა“ გამოაქვეყნა ინფორმაცია,რაც მუსიკოს გიორგი გვარჯალაძესა და მის შვილს ეხებოდა.როგორც ვკითხულობთ, გიორგი აქვეყნებს მიმოწერას, რომელშიც უცხო მამაკაცი ინტიმურ სურათებს სთხოვს თავის შვილს. მოგეხსენებათ, გიორგი გვარჯალაძის შვილი გარდაიცვალა. როგორც აღვნიშნე, „სპუტნიკის“ მიერ გამოქვეყნებული ინფორმაცია, ლენო

---

[21] რუსა ჩაჩუას ვაჟი https://sputnik-georgia.com/20200118/rusa-chachuas-vaji-dzma-247511225.html

[22] სალომე ღვინიაშვილის ვაჟი https://sputnik-georgia.com/20200122/salome-gviniashvilis-vaji-247547772.html

[23] თიჯა ჯამბურიას შვილი https://sputnik-georgia.com/20200124/tika-jamburia-nina-xoperia-247560895.html

[24] გიორგი გვარჯალაძე მიმოწერას აქვეყნებს https://sputnik-georgia.com/20200122/giorgi-gvarjaladze-shvili-247542152.html

გვარჯალაძისა და უცხო მამაკაცის მიმოწერის შესახებ უნდა ყოფილიყო, მაგრამ მასალის უმეტესი ნაწილი დაეთმო იმ ფაქტს თუ როგორ „ტრაგიკულად დაიღუპა“ გოგონა .

27 იანვარს [25]სტატია იწყება ასე : „სექს სიმბოლოს ქალიშვილის რადიკალური გარდასახვა“, რომელშიც საუბარია შორენა ბეგაშვილის შვილზე, ევა ბარბაქაძეზე.თავდაპირველად, აღვნიშნავ იმასაც,რომ ევას მიმართ დამამცირებელი ფრაზებია გაჟღერებული :ის ძალიან შეიცვალა, ფაქტობრივად,საზოგადოება ვეღარ იცნობს, მისი გარეგნული სხვაობა ახალსა და ძველ ფოტოებში რადიკალურად განსხვავებულია. „სპუტნიკმა“ ევა,თითქოს,დადებითი კუთხით წარმოაჩინა, თუმცა ამ ინფორმაციის წაკითხვისას, ყველას შთაბეჭდილება შეექმნება, რომ ბავშვობაში ევა კარგად არ გამოიყურებოდა. შემდეგ კი მთელი ნაწილი შორენა ბეგაშვილს ეკუთვნის და ევას დედის სექსუალურობაზეა ხაზი გასმული.

მესამე კატეგორიაში მოხვდა 13 თებერვლის სტატია,[26] რომელიც მომღერალი და ტელეწამყვანის შვილს ეხება. მისი შინაარსია,რომ თინეიჯერი გოგონა ძალიან ჰგავს დედას, ერთი შეხედვით, არც ინფორმაციაშია რაიმე დარღვევა, მაგრამ მთავარ ფონად გამოყენებულია გოგონას სურათი, რომელიც ნახევრად შეტრიალებულია უკან და საცურაო ფორმა აცვია.

24 თებერვალს კი „სპუტნიკმა“ გამოაქვეყნა ინფორმაცია სათაურით[27]: „სალომე ღვინიაშვილმა მანქანაში ქალიშვილი თავდაყირა აღმოაჩინა“. ფაქტობრივად, მოცემული სათაურიდან გამომდინარე, სტატიას უარყოფით კონტექსტში აღვიქვამთ, თითქოს, ტრაგედიისთვის ვემზადებით, მაგრამ,როდესაც

---

[25] „ევა ბარბაქაძეს ვერ იცნობთ“ https://sputnik-georgia.com/20200129/shorena-begashvilis-eva-bavshvobashi-247603382.html

[26] ქრისტინე იმედაძის შვილი https://sputnik-georgia.com/20200213/qristine-imedadzis-shvili-dedas-tyupiscalivit-hgavs-247721985.html

[27] სალომე ღვინიაშვილის ქალიშვილი https://sputnik-georgia.com/20200125/salome-gviniashvilma-gogona-tavdayira-247565850.html

ინფორმაციით დავინტერესდებით, აღმოჩნდება, რომ სალომეს შვილი უბრალოდ დაიღალა და მანქანაში მსგავს პოზაში მოკალათდა, დედამ კი სახალისო სურათი გადაუღო. ამავე დღეს გამოქვეყნდა ინფორმაცია, რომელიც ჯანეტ ქერდიყოშვილის შვილს ეხებოდა. რომლის თანახმად, გოგონას შვილი შეეძინა. თუმცა სათაური ასეთია[28] :„ჯანეტ ქერდიყოშვილის გულისამაჩუყებელი სურათი სამშობიაროდან, რატომ იტირა მოდელის მამამ?

26 თებერვალს[29] : „ვცემ, ან იარაღს ვესვრი, ნახეთ ვის ემუქრება ქეთა თოფურიას ქალიშვილი“, თუმცა როგორც წინა შემთხვევა, ესეც გასართობ სტატიას შეესაბამება.

მეოთხე კატეგორიაში მოხვდა 16[30] თებერვლის ინფორმაცია, რომელიც აჩიკო გულედანის შვილის ავარიის ამბავს ეხებოდა. სათაური ასეთია : „„სახის ძვლები მქონდა ჩატეხილი... აჩიკო გულედანის შვილი საშინელ ავარიაში მოყვა“ .

ბოლო კატეგორიაში მოხვდა 29[31] იანვრის ინფორმაცია სათაურით : „სად მუშაობს ნანიკო ხაზარაძის 16 წლის ქალიშვილი?“ რომელშიც ვკითხულობთ, რომ ტელეწამყვანის შვილი,ლილუ, „ყვავილების ქარხანაში მუშაობს“, ის შრომისმოყვარე გოგონაა და საკუთარი შემოსავალი გააჩნია.“სპუტნიკი“ გოგონას სამსახურის ადგილმდებარეობასაც აღნიშნავს. „ლილუ ნუცუბიძე გამყიდველად მუშაობს ყვავილების ქარხანაში, რომელიც პეტრიაშვილის ქუჩის დასაწყისშია“ .

---

[28] https://sputnik-georgia.com/20200204/JANET-QERDIYOSHVILIS-MAMAM-ITIRA-247642817.html „ჯანეტ ქერდიყოშვილმა იმშობიარა“

[29] ქეთა თოფურიას ქალიშვილი https://sputnik-georgia.com/20200127/olivia-geixman-qeta-topuria-video-247568118.html

[30] მარიამ გულედანის ავარიის ისტორია https://sputnik-georgia.com/20200116/achiko-guledanis-shvili-avariashi-mohyva-247500130.html

[31] „სად მუშაობს ნანიკო ხაზარაძის შვილი?“ https://sputnik-georgia.com/20200129/naniko-xazaradzis-shvili-247603703.html

თვისებრივი კონტენტ-ანალიზის მეშვეობით, გავარკვიეთ თუ რა შეცდომები დაუშვა „სპუტნიკ-საქართველო“-მ ბავშვთა საკითხების გაშუქებისას. ამასთანავე, მოცემული დარღვევები დავყავით ჯგუფებად და განვიხილეთ თითოეული ინფორმაცია.

2.2.3 შედარებითი ანალიზი

რაოდენობრივი და თვისებრივი კონტენტ-ანალიზის მეშვეობით, ჩვენი საკვლევი პერიოდის, 2020 1 იანვრიდან 2020 29 თებერვლის ჩათვლით, მედიების მხრიდან, ნათლად დავინახეთ ის მთავარი გზავნილები თუ ეთიკური დარღვევები, რომლებსაც ისინი აშუქებდნენ. ფაქტობრივად, ტელემედიაც და ონლაინ მედიაც გარკვეულ შეცდომებს უშვებდნენ, როდესაც არასრულწლოვანთა თემებს აშუქებდნენ. მიუხედავად იმისა, რომ „სპუტნიკ-საქართველო“ მეტ ინფორმაციას ავრცელებდა, ვიდრე „იმედის დღე“ , ონლაინ მედიის მხრიდან, შედარებით ბევრი შეცდომა დავინახეთ. უპირველეს ყოვლისა, „სპუტნიკის“ გაშუქებულ ამბებში, მომხდარ ფატზე მეტად უფრო კომენტარი იყო გაკეთებული, რომელიც ფაქტობრივად სათაურსაც სცდებოდა. მაგ: იყო ონფორმაცია ცნობილი ადამიანის შვილის შესახებ, მაგრამ მასალაში ყურადღება გამახვილებული იყო,პირობითად, როგორი სექსუალური და ეპატაჟური მშობელი ჰყავდა ბავშვს. ფაქტობრივად, სათაური და ინფორმაცია ერთმანეთთან თანხვედრაში არ იყო.

„სპუტნიკი“ მეტად ინტერესდებოდა ცნობილი ადამიანების შვილებით, ვიდრე „იმედის დღე“. ონლაინ მედია, ხშირად ბავშვით მანიპულირებდა, იყენებდა არასრულწლოვნის სექსუალური შინაარსის მქონე სურათს(მაგ:ქრისტინე იმედაძის შვილის) .

ასევე, „სპუტნიკ-საქართველო“ -ს მხრიდან, დამამცირებელ კომენტარებსაც ვხვდებოდით, თუმცა ის ამ ყველაფერს „შელამაზებულად და შეფუთულად აკეთებდა“. რაც შეეხება, „იმედის დღის“ ჟურნალისტებს, ისინი არც

ერიდებოდნენ ირონიულ თუ დამცინავ კომენტარებს, სტერეოტიპულ წინადადებებს, რომლებიც მარიამ ბაკურაძემაც კი გააჟღერა მოზარდების მისამართით.

„სპუტნიკი“ სენსაციური და დამაინტრიგებელი სათაურებით გამოირჩეოდა, რასაც ვერ ვიტყვით „იმედის დღის“ გადაცემაზე, რომლის წამყვანები, პირიქით, ერიდებოდნენ მსგავს განცხადებებს. ასევე, საჭიროების შემთხვევაში, ტელევიზია ბავშვის პირადულ მონაცემებს არ ტრანსლირებდა, რასაც ვერ ვიტყოდით „სპუტნიკზე“, რომელმაც ნანიკო ხაზარაძის 16 წლის ქალიშვილის როგორც სამსახური, ასევე მისამართიც გამოაქვეყნა.მიუხედავად საზოგადოების დიდი ინტერესისა, არავითარ შემთხვევაში არ უნდა გაემჟღავნებინა ეს ინფორმაცია, ბავშვის უსაფრთხოების მიზნით.

მედიებზე დაკვირვებისას, აღმოჩდა, რომ „სპუტნიკი“ იყენებდა როგორც ქართულ , ასევე უცხოურ მედიასაც, მათ შორის რუსულს. ხოლო, „იმედის დღე“ ეყრდნობოდა სანდო კვლევებს, ექიმებს,პედაგოგებს და ა.შ... „სპუტნიკი“ , ბავშვთა საკითხების გაშუქებისას, მსოფლიო ამბებსაც ავრცელებდა, განსხვავებით „იმედის დღისგან“.

კორონავირუსზე საუბარი „სპუტნიკმა“ (7იანვარს) უფრო ადრე დაიწყო,ვიდრე „იმედის დღე“-მ(26 იანვარი).

2.3 სიღრმისეული ინტერვიუ

კონტენტ-ანალიზთან ერთად გამოვიყენეთ სიღრმისეული ინტერვიუ. ამისთვის გამოვკითხეთ მე-18 საჯარო სკოლის პედაგოგი - ანი ბაბუნაშვილი და ასოცირებული პროფესორები - მაირა ტორაძე ; ნინო ჭალაგანიძე . გამოვიყენეთ სტრუქტურირებული ინტერვიუ და მათ დავუსვით შემდეგი კითხვები:

1. რამდენად დიდ ყურადღებას უთმობს ქართული მედია ბავშვთა საკითხების გაშუქებას?

2. ძირითადად, რა შეცდომებს უშვებენ ჟურნალსტები, როდესაც ბავშვთა საკითხებს აშუქებენ?
3. სად უფრო ხშირად ირღვევა ბავშვთა ეთიკის ნორმები ონლაინ მედიაში თუ ტელევიზიაში?
4. რა უნდა გაითვალისწინონ ჟურნალისტებმა არასრულწლოვანთა გაშუქების დროს ?

ექსპერტთა პასუხებზე დაყრდნობით, ბავშვთა საკითხების გაშუქების დროს, ხშირად ირღვევა მათი უფლებები, ისინი სიღრმისეულად და შესაბამისი პასუხისმგებლობით არ ეკიდებიან მოცემულ თემას. როგორც პროფესორმა მაია ტორაძემ აღნიშნა : „ჟურნალისტები სათანადოდ ვერ ფლობენ ბავშვთა საკითხების გაშუქების სტანდარტებს და რადგან ბევრ სიუჟეტს (განსაკუთრებით ტელევიზიაში) მოჰყვება ხოლმე კრიტიკა, თავს არიდებენ ბავშვთა საკითხების სიღრმისეულ გაშუქებას“ **(იხ. დანართი 1)** . ამ მოსაზრებას ეთანხმება ქალბატონი ნინო ჭალაგანიძეც : „სამწუხაროდ, მედია ხშირად არ იყენებს საკუთარ არსებულ შესაძლებლობებს საკითხების სიღრმისეულად წარმოსაჩენად“ **(იხ. დანართი 3) .** ხოლო, პედაგოგი ანა ბაბუნაშვილის აზრით, „ბავშვთა საკითხების გაშუქებისას, უმეტეს შემთხვევაში გვაცნობენ ისეთ ინფორმაციას, რაც უფრო ყვითელ პრესას ეხება, რომელიც რაღაც შემთხვევაში შეიძლება სრულიად უმნიშვნელო და არასაინტერესო იყოს, მაგრამ სამაგიეროდ, იყოს სენსაციური“. **(იხ. დანართი 1)**

ექსპერტების რეკომენდაციები, რომლებიც გასათვალისინებელია 18 წლამდე პირთა გაშუქებისთვის, ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია და ისინი თანხმდებიან, რომ ბავშვის ჩაწერის დროს, აუცილებელია ნებართვა ავიღოთ მშობლის ან მეურვის მიერ, ასევე, უნდა გავითვალისწინოთ არასრულწლოვნის ფსიქოლოგიური მდგომარეობაც. ამასთანავე, მედიამ ბავშვთა პრობლემატიკაზე უფრო მეტი ყურადღება უნდა გაამახვილოს და რაც მთავარია, დაიცვას ბავშვის პირადი სივრცე.

დასკვნა

რაოდენობრივი და თვისებრივი კონტენტ-ანალიზის გამოყენებით, ჩვენს შემუშავებულ კითხვებს ამომწურავად გავეცით პასუხი.

პირველ კითხვაზე თუ „რამდენად ხშირად აშუქებდნენ „იმედის დღე“ და „სპუტნიკ-საქართველო“ ბავშვთა საკითხებს, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ხშირად, ფაქტობრივად, 2 თვის განმავლობაში გადაცემა ეთერში 37-ჯერ გავიდა, აქედან 27 მასალა დაეთმო ბავშვებს . რაც შეეხება „სპუტნიკ-საქართველოს“, ორი დღის გარდა, დაახლოებით 150 ინფორმაცია გაშუქდა მათ შესახებ. მასალები ყოველდღიურად შუქდებოდა, დღის განმავლობაში, რამდენჯერმეც.

შემდეგ შეკითხვაზე, „რა სახის ინფორმაცია ვრცელდებოდა არასრულწლოვნების შესახებ“ , „იმედის დღე“ აშუქებდა შემდეგ თემებს: განათლება,ჯანმრთელობა,სოციალური,გართობა,კულტურა,მოდა და მუსიკა. აქედან, ტელემედია ყველაზე დიდ ყურადღებას ამახვილებდა ბავშვთა განათლებისა და ჯანმრთელობის საკითხებს. ხოლო „სპუტნიკ-საქართველო“ აშუქებდა:სოციალურ,ჯანმრთელობის,კრიმინალურ,საგანმანათლებლო,გასართობ,მსოფლიო ამბებს,მოდასა და მუსიკას.აქედან, ინტენსიურად შუქდებოდა სოციალური და ჯანმრთელობის საკითხები.

რაც შეეხება კითხვას, „რა წყაროებზე დაყრდნობით ავრცელებდნენ მედიასაშუალებები ინფორმაციას“, „იმედის დღე“ ეფუძნებოდა უკვე ჩატარებულ და სანდო კვლევებს, ხშირად ამოწმებდნენ ინფორმაციას ქიმებთან ფსიქოლოგებთან, მასწავლებლებთან ... ხოლო „სპუტნიკ-საქართველო“ ეყრდნობოდა როგორც ქართულ(„პირველი არხი“ ; „რუსთავი 2 „ ; „იმედი“ ; „აჭარის ტელევიზია“ , „კახეთის ხმა“ , ambebi.ge ;) ისე უცხოურ („სპუტნიკ-უზბეკეთი ; daily mail; „НОВОСТИ-ГЯУЗИЯ“ ; „РИА НОВОСТИ“) ; ასევე შსს-ს , საპატრიარქოს წარმომადგენლებს, ექიმებს და ა.შ...

თუ „როგორი დამოკიდებულება გამოიკვეთა ჟურნალისტების მხრიდან ბავშვების მიმართ“ , მიუხედავად იმისა, რომ ბავშვთა საკითხებს „იმედის დღე“ მეტი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა, გადაცემისას რამდენჯერმე გამოიკვეთა ფაქტები, როდესაც ჟურნალისტებმა როგორც ბავშვების, ასევე მოწვეული სტუმრების მიმართ, გამოიჩინეს ირონიული, დამცინავი და სტერეოტიპული დამოკიდებულება. ხოლო, „სპუტნიკმა“ რამდენჯერმე დამაკნინებელი კომენტარიც გააკეთა ბავშვებიც მისამართით, მაგ: როდესაც მსახიობი გიორგი ყიფშიძის მესამე შვილის სახელი „უცნაურად“ მოიხსენია, ასევე ის, რომ ცნობილი ტელეწამყვანისა და მსახიობი, შორენა ბეგაშვილის გოგონა გარეგნულად იმდენად შეიცვალა უკეთესობისკენ, ფაქტობრივად, მისი ცნობა გაგვიჭირდებოდა ბავშვობის სურათებში.

მეხუთე კითხვას, „შეინიშნებოდა თუ არა მედიის მხრიდან , ბავშვთა ეთიკის ნორმების დარღვევები“, თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ,დიახ, ეს გამოიხატებოდა ჟურნალისტების მიერ ბავშვების მიმართ დამოკიდებულებით, ინფორმაციის მოპოვების მიზნით, მათი მანიპულაციით(„სპუტნიკი“) ,თინეიჯერის სექსუალური კუთხით წარმოჩენაში(„სპუტნიკი“) , პირადი ინფორმაციის გამჟღავნებით(„სპუტნიკი“).

ბოლო საკვლევ კითხვაზე, „რომელი მედიასაშუალება აშუქებდა ბავშვთა საკითხებს უკეთესად“ , გახლავთ ტელემედია. მუხედავად დარღვევებისა, „იმედის დღე“ ბავშვთა საკითხებს მეტი ყურადღებით, სიფრთხილითა და დაკვირვებით უდგებოდა, ვიდრე „სპუტნიკი“ .

კვლევის შედეგების მიხედვით, დადასტურდა შემუშავებული ორივე ჰიპოთეზა, რომ „ჩვენ მიერ არჩეული მედიასაშუალებები ბავშვთა საკითხების გაშუქების დროს, გარკვეულ შეცდომებს უშვებდნენ“ ; „ იმედის დღე“ მეტად ხარისხიანად აშუქებდა ბავშვთა საკითხებს, ვიდრე „სპუტნიკ-საქართველო“ .

გამოყენებული ლიტერატურა

"MediaWise". (2010 წლის ივნისი). "მედია და ბავშვთა უფლებები". გვ. 5. მოპოვებული https://www.unicef.org/georgia/sites/unicef.org.georgia/files/2019-03/Media_and_CR_GE.pdf-დან

"ბავშვისაგან ინტერვიუს აღება". (1998). გვ.6.

"კონვენცია ბავშვის უფლებების შესახებ" მუხლი 16. (n.d.).

(2020 წლის 12 აგვისტო). მოპოვებული imedinews.ge : https://imedinews.ge/ge/sazogadoeba/157996/iris-kvlevis-mikhedvit-imedi-sazogadoebrivi-ndobis-reitingis-lideria?fbclid=IwAR2pW82Ho5EAQcZFQw4-9oFoZ8jvaXsg3kz8_4C_3GeNtjaQhY3PxQD-FqY-დან

ანსამბლეა, გ. ე. (1989 წლის 20 ნოემბერი). *"კონვენცია ბავშვის უფლებების შესახებ".* მოპოვებული matsne.gov.ge: https://matsne.gov.ge/ka/document/view/1399901?publication=0-დან

დეიზი სინდელარი, მ. ჭ. (2014). *რას ემსახურება "სპუტნიკი"?.* radiotavisupleba.ge. მოპოვებული https://www.radiotavisupleba.ge/a/ras-mesakhureba-sputniki/26693548.html -დან

მაია ტორაძე; ხათუნა მაისაშვილი. (2019). *მედიისა და კომუნიკაციის კვლევის მეთოდები.* ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.

სამსახური, პ. მ. (თ. გ.). მედია სივრცეში პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის სახელმძღვანელო პრინციპები.

სარა მაკრამი , ლოტ ჰიუ. (1998). "ბავშვებისაგან ინტერვიუს აღება".

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია. (2009 წლის 12 მარტი). მოპოვებული matsne.gov.ge: https://matsne.gov.ge/ka/document/view/82792?publication=0-დან

ტორაძე, მ. (თ. გ.). რა არის მედიამონიტორინგი? კონტენტ-ანალიზის განსაზღვრება. მოპოვებული digitallibrary.tsu.ge/book/2021/sep/readers/toradze-mediamonitoringi-reader.p-დან

ქარტია, ჟ. ე. (2016 წლის 21 დეკემბერი). მოპოვებული https://www.qartia.ge/ka/sakhelmdzghvanelo-tsesebi1/article/29160-bavshvta-sakitxebis-gashuqebis-saxelmdzgvanelo-დან

ქარტია, ს. ჟ. (თ. გ.). მოპოვებული qartia.ge: https://www.qartia.ge/ka/mthavari-gverdis-aikonebi/article/30513-preambula-დან

ქარტია, ს. ჟ. (2017). *ბავშვტა საკითხების გაშუქების მედიამონიტორინგის ანგარიში.* მოპოვებული https://www.qartia.ge/media/1000907/2017/12/26/9fdd88608fdf1dcc781c434605dfa9e4.pdf-დან

დანართი 1

<u>მე-18 საჯარო სკოლის პედაგოგი - ანა ბაბუნაშვილი</u>

<u>1.</u>რამდენად დიდ ყურადღებას უთმობს ქართული მედია ბავშვთა საკითხების გაშუქებას?

- ბავშვთა საკითხების გაშუქება აქტიური არ არის. აქტიურია მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ რაიმე სენსაციურ საკითხს ეხება და ამ მოვლენას ჟურნალისტები იქამდე აშუქებენ, სანამ მსგავსი ფაქტი არ მოხდება. უმრავლეს შემთხვევაში, მათ შესახებ გავრცელებული ინფორმაცია არის ნეგატიურ კონტექსტში, არასდროს არ არის პრევენციის მიზნით,უკვე მომხდარ ამბავზე

დაყრდნობით.შესაბამისად, ისეთ ინფორმაციას გვაცნობენ,რაც უფრო ყვითელ პრესას ეხება, რომელიც რაღაც შემთხვევაში შეიძლება სრულიად უმნიშვნელო და არასაინტერესო იყოს, მაგრამ ,სამაგიეროდ, იყოს სენსაციური. ერთი სიტყვით, ქართული მედია დიდ ყურადღებას არ იჩენს ბავშვთა საკითხების მიმართ. შუქდება ისეთი მასალა, რაც ტრაგედიასთან ასოცირდება და ისიც პოლიტიკასთან არის მჭიდრო კავშირში.

2.ძირითადად, რა შეცდომებს უშვებენ ჟურნალისტები, როდესაც ბავშვთა საკითხებს აშუქებენ?

- უმრავლეს შემთხვევაში, ფიქსირდება მათი ვინაობა,სურათები,ფაქტობრივად, მათ შესახებ ყველანაირ ინფორმაციას გვაწვდის მედია, რაც შემდგომში შესაძლოა, ბავშვის დაბულინგების მიზეზიც გახდეს.ერთი სიტყვით, მარტივად ხდება ბავშვთა იდენტიფიცირება.

3.სად უფრო ხშირად ირღვევა ბავშვთა ეთიკის ნორმები ონლაინ მედიაში თუ ტელევიზიაში?

- ონლაინ მედიაში, რადგან სტატიები ამ სივრცეში უფრო ცხელ გულზე იწერება , განსაკუთრებით, სათაურები. სტატიის ავტორები კი არ უფრთხილდებიან არც ბავშვის ფსიქოლოგიურ მდგომარეობას და არც მის ოჯახის წევრებზე ფიქრობენ.

4.რა უნდა გაითვალისწინონ ჟურნალისტებმა არასრულწლოვანთა გაშუქების დროს?

- არასრულწლოვანს უფლება აქვს იყოს არაიდენტიფიცირებული, შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში, ჟურნალისტებმა უნდა დაფარონ მისი სახე, ვინაობა, ხმა.გარდა ამისა, მათ, რაც უფრო მეტი ეცოდინებათ ბავშვთა უფლებების შესახებ, უკეთესი იქნება, რადგან არასრულწლოვნებს ისეთი უფლებები და ვალდებულებები აქვთ, რომ ორივე კარგად უნდა იცოდე, რადგან, როდესაც ასეთ სენსიტიურ საკითხს აშუქებ, როგორიც არის მათთან დაკავშირებული საკითხები, ფაქტობრივად, „ბეწვის ხიდზე“ გადიხარ.

დანართი 2

<u>ასოცირებული პროფესორი მაია ტორაძე</u>

<u>**1.რამდენად დიდ ყურადღებას უთმობს ქართული მედია ბავშვთა საკითხების გაშუქებას?**</u>

- ჩემი აზრით, მიუხედავად იმისა, რომ ქართულ ტელესივრცეში არის საბავშვო მუსიკალური პროექტები, გადაცემა თინეიჯერებისთვის და საბავშვო არხი, მგონია,რომ ბავშვთა პრობლემატიკა სათანადოდ არ შუქდება.ერთ-ერთ მიზეზად შეიძლება დასახელდეს ის, რომ ჟურნალისტები სათანადოდ ვერ ფლობენ ბავშვთა საკითხების გაშუქების სტანდარტებს და რადგანაც ბევრ

სიუჟეტს(განსაკუთრებით ტელევიზიაში)მოჰყვება ხოლმე კრიტიკა, თავს არიდებენ ბავშვთა საკითხების სიღრმისეულ გაშუქებას.ამასაც აქვს თავისი სუბიექტური მიზეზი-თანამედროვე ტელევიზიების სარედაქციო პოლიტიკა, სამწუხაროდ,აგებულია სკანდალებზე და რადგანაც ბავშვთა საკითხების გაშუქებას საკმაოდ მკაცრად განსაზღვრული სტანდარტები აქვს, ტელევიზია არ ინტერესდება ,მაგალითად, სასკოლო ბულინგით,ბავშვთა უფლებებით,პრევენციული საკითხებით და სხვა.

2.ძირითადად, რა შეცდომებს უშვებენ ჟურნალისტები, როდესაც ბავშვთა საკითხებს აშუქებენ?

- გარდა სტანდარტული შეცდომებისა, რომლებიც შეეხება, მაგალითად,პორტრეტის ჩვენებას,მეურვის თანხმობის გარეშე კომენტარის ჩაწერას და პირადი ინფორმაციის გამჟღავნებას,ჩემი აზრით,ჟურნალისტები ვერ აანალიზებენ სიღრმისეულად იმ თემებს, რაც ბავშვებისთვის ჯანსაღი საგანმანათლებლო ან ფსიქოლოგიური გარემოს (სკოლა,ოჯახი,საზოგადოება)შექმნას შეეხება.სკანდალური თემების გარდა,როგორიცაა კრიმინალი,მსხვერპლი ბავშვი და ა.შ... მედია და ჟურნალისტები ვერ აშუქებენ (ან არ აშუქებენ) რეგიონში ბავშვების სოციალურ და საყოფაცხოვრებო პრობლემებს, ან თუ აშუქებენ, იმასაც სკანდალის შექმნის მიზნით,ან ეთიკური ნორმების დარღვევით.

3.სად უფრო ხშირად ირღვევა ბავშვთა ეთიკის ნორმები ონლაინ მედიაში თუ ტელევიზიაში?

- ორივეგან.

4. რა უნდა გაითვალისწინონ ჟურნალისტებმა არასრულწლოვანთა გაშუქების დროს?

- ზემოთ ნათქვამიდან გამომდინარე, მიმაჩნია,რომ სტანდარტების დარღვევის შიშით ბავშვი არ უნდა გაქრეს სატელევიზიო ეკრანიდან და,ზოგადად,მედიიდან.გარდა საგანმანათლებლო,შემეცნებითი და

კულტურული გადაცემებისა,რომელიც,ასე თუ ისე, არის ქართულ სატელევიზიო მედიაში,მიმაჩნია,რომ ჟურნალისტებმა ბავშვთა პრობლემატიკაზეც უნდა ისაუბრონ.განსაკუთრებით საჭიროა გადაცემები და სიუჟეტები,რომლებიც დაფარავს თინეიჯერებისთვის საინტერესო საკითხებს,მისცემს ბავშვებს საშუალებას თავად ისაუბრონ თემებზე, რომელიც მათთვის საჭირო და მტკივნეულია.

დანართი 3

<u>ასოცირებული პროფესორი - ნინო ჭალაგანიძე</u>

<u>**1.რამდენად დიდ ყურადღებას უთმობს ქართული მედია ბავშვთა საკითხებს?**</u>

- ცნობილია,რომ ჟურნალისტები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ბავშვთა უფლებების გარშემო საზოგადოების მობილიზებაში.გარკვეულწილად,სწორედ ჟურნალისტები არიან მოვლენათა კატალიზატორები,რომლებიც საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, ხელს უწყობენ დემოკრატიულ ცვლილებებს. ასევე, მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ბავშვების იმიჯის, მათი

უფლებებისა და პერსპექტივების გაუმჯობესებაში.თუმცა,სამწუხაროდ,მედია ხშირად არ იყენებს საკუთარ შესაძლებლობებს საკითხების სიღრმისეულად წარმოსაჩენად.გადაცდომის შიშით,ჟურნალისტები გვერდს უვლიან ბავშვთა სახეების წარმოჩენას,ხელოვნურად ახშობენ მათ ხმას.

2. ძირითადად, რა შეცდომებს უშვებენ ჟურნალისტები,როდესაც ბავშვთა საკითხებს აშუქებენ?

- საკითხთა წრე ფართოა,თუმცა ყველაზე მთავარ პრობლემად რჩება იდენტიფიცირების საკითხი.ამ შემთხვევაში ვგულისხმობთ ირიბ იდენტიფიცირებასაც,როცა უარყოფითი კონოტაციის მასალებში არ იკითხება ბავშვის ვინაობა,მაგრამ ჩანს მოქმედების გარემო, ასევე სხვა მოქმედი გმირები და სხვ.

3.სად უფრო ხშირად ირღვევა ბავშვთა ეთიკის ნორმები ონლაინ თუ ტელევიზიაში?

- ამგვარ კვლევას არ ვიცნობ და გამიჭირდება პასუხის გაცემა.

4.რა უნდა გაითვალისწინონ ჟურნალისტებმა არასრულწლოვანთა გაშუქების დროს?

- უპირველესია ბავშვის ჩაწერის ნებართვა,რომელიც თვითონ და მისმა მშობელმა/მეურვემ უნდა მოგვცეს.ცალსახად გასათვალისწინებელია ბავშვის ფსიქოლოგიური მზაობა.